ხობის მოამბე

№20 (7089)
6 დეკემბერი,
ხუთშაბათი, 2012 წელი.
ფასი 70 თეთრი.

მოსჯულთა, ადასტურებს ოსჯის გულში ასმენის ფასული

ამის შესახებ სრულიად საქართველოს ჯათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში წირვის დასრულების შემდეგ ქადაგებისას ბრძანა.

უწმინდესმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული მიულოცა. ილია II აღნიშნა, რომ ეს არის დიდი დღესასწაული და უნდა გავიაზროთ თუ რას ნიშნავს ტაძრად მიყვანება.

ჯათოლიკოს-პატრიარქის განცხადებით, ტაძარი არის სასუფევლის ჯარიბჭე და ბედნიერია ის ადამიანი, ვინც ხშირად არის ტაძარში.

უწმინდესმა ასევე ბრძანა, რომ ტაძარი არის განსაკუთრებული ადგილი, სადაც მადლი ღვთისა სუფევს და უპირველეს ყოვლისა ჩვენ მომავალთაობას უნდა ვასწავლიდეთ ამას.

-ამბობენ, რომ ორი ან სამი ტაძარი ავაშენე, მთავარია, ადამიანმა თავის გულში ააშენოს ტაძარი, მისი გული უნდა გახდეს უფლის სამყოფელი, - აღნიშნა უწმინდესმა ქადაგებისას.

პატრიარქმა ასევე რამდენიმე სასულიერო პირი გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით დააჯილდოვა.

პარლამენტი ბიუჯეტის პროექტს განიხილავს

ბიუჯეტის პროექტს პარლამენტი იხილავს. პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი პარლამენტში უკვე შესულია.

ბიუჯეტს ხელს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი აწერს, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობა აქვს.

პარლამენტის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით საკონსტიტუციო ცვლილებები იგეგმება

დეპუტატები საპარლამენტო უმრავლესობიდან გამოდიან კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის ინიციატივით, რომელიც მიზნად ისახავს პარლამენტის ქუთაისიდან დედაქალაქში დაბრუნებას.

პარლამენტის იურდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, ცვლილებათა პროექტის თანახმად, კონსტიტუციიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელად ქალაქ ქუთაისს განსაზღვრავს.

ინიციატივის დამტკიცების შემთხვევაში, პარლამენტის ადგილმდებარეობა რეგლამენტით დარეგულირდება და არა კონსტიტუციით, როგორც დღეს არის.

პარლამენტი ქუთაისში ახალ შენობაში 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გადავიდა. იმავდროულად, პარლამენტის პირველ შეკრებამდე განხორციელდა თბილისში პარლამენტის შენობაში განთავსებული სხდომათა დარბაზების დემონტაჟი და იქ არსებული ქონებისგან შენობის დაცლა.

კონსტიტუციაში ცვლილებების ინიცირება 3 დეკემბერს პარლამენტის ბიუროს სხდომაზე იგეგმება, რის შემდეგაც პროცედურულად ერთი თვეა საჭირო მისი საერთო-სახალხო განხილვისთვის, რასაც შემდგომ პარლამენტის მიერ მისი სამი მოსმენით მიღება უნდა მოჰყვეს.

„ქართული ოცნება“ ამ ცვლილებებს დამოუკიდებლად ვერ დაამტკიცებს, ვინაიდან მას ამისთვის საჭირო 100 ხმა არ აქვს. უმრავლესობას ნაციონალური მოძრაობის წევრი დეპუტატების მხარდაჭერა დასჭირდება ამ ინიციატივის მისაღებად.

„ვფიქრობ, რომ ყველა თუ არა, ნაწილი მაინც დაუჭერს მხარს, რადგან აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თავადაც კარგად ხედავენ ამ გადაწყვეტილების (ქუთაისში პარლამენტის გადატანის) აბსურდულობას“, - განაცხადა ხმალაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, ინიციატივა მოტივირებულია იმის პრაქტიკული საჭიროებით, რომ პარლამენტი და მთავრობა ერთ ქალაქში ფუნქციონირებდეს.

ქუთაისში პარლამენტის შენახვა „მილიონებით“ ძვირი დაუჯდება ქვეყანას, ვიდრე „პარლამენტის შენახვა იყო თბილისში“.

ალასანიამ პრეზიდენტს გაერთიანებული შტაბის ახალი უფროსის კანდიდატურა წარუდგინა

პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გაერთიანებული შტაბის უფროსის პოსტზე პრეზიდენტ სააკაშვილს 4 დეკემბერს წარუდგინა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, კანდიდატურა ირაკლი ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილს შორის კონსულტაციების შედეგად შეირჩა.

მიღწეულ შეთანხმებას თავდაცვის მინისტრმა მნიშვნელოვანი უწოდა, ვინაიდან უწყებაში რეფორმირების გეგმების განხორციელება სწრაფად დაიწყება.

მან ასევე განაცხადა, რომ პოლკოვნიკ ძნელაძეს მისცა პირველი მითითება, რომ „სასწრაფოდ დაიწყოს ნატოს კომიტეტის ვიზიტის მომზადება საქართველოში, რომელიც გადადებული იყო რაღაც პერიოდით“.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, პოლკოვნიკი ძნელაძე, რომელსაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება აქვს, ბოლოს საქართველოს თავდაცვის ატაშე იყო უკრაინაში, მანამდე კი სხვადასხვა პერიოდში ის მსახურობდა J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტსა და სახმელეთო ჯარების სარდლობაში.

გამოიწერეთ გაზეთი „ხობის მოამბე!“

ერთი წლით,
მხოლოდ 17 ლარად!

სამძიმარი



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ლიტერატორი, უნიკალური წიგნების ავტორი, საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ გამოცემათა მთავარი რედაქტორი, ხობის საპატიო მოქალაქე

ვახტანგ როდონაია

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

2 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე. სხდომას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გ. ღურწკაია, გამგეობის სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ადგილობრივი პრესისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო 12 საკითხი:

1. დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ (მომხსენებელი: ბ. ჯიქია–საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

2. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ (მომხსენებელი: ა. ვარდია –გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი);

3. „ფრაქცია „ქართული ოცნების“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ. სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

4. „ფრაქცია „მაჟორიტარის“ რეგისტრაციის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა (მომხსენებელი: მ. სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

5. განკარგულების პროექტი საკრებულოს წევრის–მანუჩარ ქაძანაიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

6. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა– იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

7. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 ივნისის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა –იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

8. განკარგულების პროექტი „ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრისთვის“ ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

9. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საშტატო ნუსხისა და სახელფასო სარგოს შეთანხმების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: ბ. ჯიქია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

10. განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის– „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის N102 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (მომხსენებელი: ბ. ჯიქია –საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

11. განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (მომხსენებელი: მ. სილოგავა–იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

12. ინფორმაცია საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ საკრებულოს წევრების გასვლის თაობაზე (მომხსენებელი: თ. გულუა –ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე).

წარმოდგენილი საკითხების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

დაიჯესტი

საპარლამენტო უმრავლესობა სახალხო დამცველის პოსტზე უჩა ნანუაშვილს უყურებს მხარს

სახალხო დამცველის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატურის შერჩევის ხანგრძლივი პროცესის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობამ თავის კანდიდატად უჩა ნანუაშვილი დაასახელა.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა „ქართული ოცნებიდან“ მანანა კობახიძემ განაცხადა, რომ ნანუაშვილი, რომელიც 1996 წლიდან მუშაობს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორია, „იქნება საკმაოდ კვალიფიციური სახალხო დამცველი“ და ამ სფეროში „ძალიან მნიშვნელოვან სიტყვას იტყვის“.

„თითოეული ადამიანის უფლების და თანასწორობის დაცვა–ეს არის მთავარი პრიორიტეტები ჩემთვის“,–განუცხადა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს ქუთაისში 3 დეკემბერს.

მას დღეს სახალხო დამცველის კიდევ ერთ კანდიდატთან–თამარ გურჩიანთან ერთად საპარლამენტო უმრავლესობა შეხვდა. კობახიძის თქმით, კანდიდატურაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება „რთული იყო“, ვინაიდან „საკმაოდ ღირსეული კანდიდატები იყვნენ წარმოდგენილნი“.

დასახელებულ კანდიდატებს შორის იყვნენ ასევე ნინა ხატისკაცი, ყოფილი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე, ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, ნათია იმნაძე, –სახალხო დამცველის აპარატთან არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ხელმძღვანელი და ლია მუხაშავრია ორგანიზაციიდან „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“.

ჯორჯ სოროსი თბილისში ბიძინა ივანიშვილს შეხვდა

ღია საზოგადოების ფონდების დამფუძნებელს ჯორჯ სოროსს, რომელიც თბილისს სტუმრობს, დღეს საქართველოს პრემიერ–მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თავის ბიზნესცენტრში უმასპინძლა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

მანამდე ჯორჯ სოროსი საქართველოს 2005 წლის მაისში სტუმრობდა.

„ბიძინა ივანიშვილმა და ჯორჯ სოროსმა საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების თაობაზე ისაუბრეს, ასევე დაიგეგმა მსოფლიოში წამყვანი ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან შეხვედრა დავოსში დაგეგმილ ეკონომიკურ ფორუმზე, რომელსაც საქართველოს პრემიერ–მინისტრი დაესწრება [იანვრის ბოლოს]“,–ნათქვამია ივანიშვილის პრესსამსახურის განცხადებაში, რომელიც შეხვედრის შემდეგ გავრცელდა.

ფონდმა ღია საზოგადოება საქართველო, რომელიც სოროსის ღია საზოგადოების ფონდების ქსელის წევრია, განაცხადა, რომ ჯორჯ სოროსი საქართველოს კერძო ვიზიტით ეწვია.

„არ არის გამორიცხული, რომ ახალი პოლიტიკური რეალობის გაცნობის მიზნით, ჯორჯ სოროსი შეხვდეს პოლიტიკურ ლიდერებსაც“, – განაცხადა ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველომ“ 28 ნოემბერს, სოროსის ვიზიტამდე გავრცელებულ განცხადებაში.

იმავე განცხადებაში, ფონდმა პასუხი გასცა ზოგიერთ მედიასაშუალებაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომ სოროსი ნაციონალური მოძრაობის დაფინანსებას გეგმავდა. „ჯორჯ სოროსი და ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ არ აფინანსებენ პოლიტიკურ პარტიებს და მათ საქმიანობას საქართველოში“, – ნათქვამია ფონდის განცხადებაში.

მაია ფანჯიკიძემ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელებთან შეხვედრა გამართა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ გაცნობითი შეხვედრა გამართა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელთან, ანდჟეი ტიშკევიჩთან.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და სადამკვირვებლო მისიას შორის თანამშრომლობის აქტუალური საკითხები განიხილეს.

საგარეო უწყების ინფორმაციით, ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა მისიის საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობის მნიშვნელობას და გამოთქვა მასთან ურთიერთობების გაღრმავების მზადყოფნა. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის როლი ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატში.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა მადლიერებით აღნიშნა სამინისტროსთან არსებული მჭიდრო თანამშრომლობა და წარმატებები უსურვა მინისტრს მომავალ საქმიანობაში.

ა ზ რ ი

ა რ ჩ ე ვ ა ნ ი გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი ა ! . .



ამ ქვეყნად ყველაფერი მოძრაობს და იცვლება. უცვლელი ღვთის გარდა არაფერია, რადგან, როგორც წმინდა ილია მართალი ბრძანებს, მოძრაობაშია სიცოცხლე. რაც არ მოძრაობს და არ იცვლება უკეთესობისკენ, ანუ არ ვითარდება–კვდება. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ხელისუფლებას, რადგან იგი წარმართველია ერის ცხოვრებისა; ერის სახეა! და როდესაც ცხადი ხდება, რომ ხელისუფლება ერთ წერტილში იყინება ანუ პირადი, სახელმწიფო მოხელეთა ინტერესების ჩარჩოებში იკეტება, საქვეყნო, საზოგადო საქმე კი მეათასე ხარისხოვანი ხდება, მისი არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, და ეს კითხვის ნიშანიც ძალიან მალე წერტილით იცვლება. ეს კანონზომიერებაა, რომლის მომსწრენიც ამ ბოლო წლების მანძილზე არაერთხელ გავხდით.

ამჯერადაც, ცვლილებებით, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნებმა მოიტანა, ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ უთხრა უარი რეჟიმს, რომელიც უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ისე, ზოგადად ადამიანური ზნეობისათვის.

ამბობენ, ქართველები ზედმეტად პოლიტიზირებული ხალხი ვართ, ეს ნამდვილად ასეა, კარგია ეს თუ ცუდი, სხვა თემაა. მაგრამ, მე იმის თქმა მინდა, რომ ალბათ, საზოგადოების ყველა ფენის პოლიტიზირების საფუძველი ისაა, რომ ქართველისათვის სამშობლო ყველაფერია–ცხოვრების მიზანი, ამოსავალი წერტილი, უდიდესი საუნჯე–მოპოვებული ცრემლით, სისხლით, ოფლით, ლოცვით. ჩვენი წინაპრების თავდაუზოგავი მოღვაწეობით; და მისთვის ნამდვილად არ არის უმნიშვნელო, თუ ვინ იქნება ქვეყნის სათავეში, მის მმართველ ორგანოებში და ეს მმართველი ძალა რომელ მხარეს დაატრიალებს ცხოვრების ჩარხს–წაღმა თუ უკუღმა.

მთავარია, ამ პოლიტიზირებამ არ შეგვცვალოს ქართველები, რისი ტენდეციაც თვალშისაცემია. არ შეგვცვალოს და მთავარ მიზანს–სამშობლოს მსახურების გზას არ აგვაცდინოს.

ყველას კარგად გვახსოვს საქართველოში განვლილი თვეები. კონკრეტულად, ხობში, როცა განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით სდევნიდნენ (სამსახურებიდან ათავისუფლებდნენ, ახალგაზრდებს ერთმანეთს უპირისპირებდნენ).

მინდა დიდი გულისტკივილით გავიხსენო ფაქტი, როცა „ქართული ოცნების“ ხობის ოფისის ხელმძღვანელს, რომელიც იმავდროულად საკრებულოს წევრიც არის, ღამის პირველის ნახევარზე, სახლში მიმავალს, ფიზიკურად გაუსწორდნენ უცნობი პირები. გულსატკენი არამარტო ეს ფაქტია, არამედ შემაშფოთებელია ის, რომ საკრებულოს მმართველი გუნდის 28 წევრიდან არც ერთმა კოლეგამ, ვერ გაბედა მისი ჯანმრთელობის ამბის მოკითხვა.

დღეს არჩევანი გაკეთებულია! ხალხმა გადაწყვეტილება მიიღო! ყველა–პოზიციონერიც და ოპოზიციონერიც, ამის მომხრე, თუ იმის მომხრე, ვალდებულია, პატივი სცეს ხალხის არჩევანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომხრე-მოწინააღმდეგეებად კი არ დავიშალოთ, ერთმანეთს კი არ გადავემტეროთ, დრო, რომელიც უფალმა მოგვანიჭა და ხალხმა განგვისაზღვრა, უქმად კი არ დავხარჯოთ „აღმა ხნულის დაღმა ფარცხვით,“ არამედ ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ საქართველო არის მაღალი კულტურის ქვეყანა, რომელიც დემოკრატიისაკენ ისწრაფვის.

მახარე ჩოკორაია,
ქ. ხობის მცხოვრები.

„მე არცერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა“

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა. მმართველმა გუნდმა არჩევნებში გზა ახალ ძალას დაუთმო, იმ ახალ ძალას, რომელმაც ამომრჩეველთა მეტი კეთილგანწყობა დაიმსახურა, ვიდრე მოქმედმა ხელისუფლებამ. კარგად მოგეხსენებათ, შევარდნაძე თუ როგორი არჩევნების გზით აპირებდა ხელისუფლებაში დარჩენას და მერე, როგორი რევოლუციური გზით მოუწია საზოგადოებას მისი და მისი გუნდის ხელისუფლებიდან გაშვება. პოლიტიკაში ერთგვარი მაღალი პოლიტიკური დონის მაჩვენებელია ის, რომ მმართველი გუნდის მიერ ხელისუფლების გადაბარება სხვა ძალებზე მოხდა არა რევოლუციის, არა გადატრიალების გზით, არამედ არჩევნების გზით. დროთა განმავლობაში ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა. ჩემი აზრით, დემოკრატიის მაღალი ხარისხი კიდევ უფრო მეტ ცვლილებებს შეიტანს ჩვენს ცხოვრებაში და ცივილიზებული ქვეყნების მხარდამხარ პროგრესის გზით ვივლით. ამით უფრო ამაღლდება ჩვენი პოლიტიკურ-დემოკრატიული დონე და ეს, რასაკვირველია, დაეტყობა ეკონომიკური და სოციალური დონის ამაღლებას.

ჩვენ გვახსოვს რვალარიანი პენსია, უმუშევრობა, ძმათა მკვლელი ომი. ბევრი რამ მოვიშუშეთ, ბევრი რამ კიდევ გვაქვს მოსაშუშებელი, ქვეყანას გულ-ღვიძლს უკორტნის უმუშევრობა. საზოგადოების დიდი ნაწილი შიმშილობის ზღვარზეა. ისედაც გაღატაკებულ ხალხს არა აქვს მკურნალობის საშუალება, მედიკამენტების, სამედიცინო მომსახურების ფასები საზოგადოების 70 პროცენტისთვის მიუწვდომელია. როგორც ამბობენ, საწვავის ფასი ჩვენთან უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მმართველი გუნდი არჩევნებს აგებს, ამას ხომ რაღაც ფაქტორი განაპირობებს, იქნებ სჯობდა ფანტანებისა და იმ კულტმასობრივ ღონისძიებათა გაუთავებელი მარათონისთვის თავი დაგვენებებინა და ამის ხარჯზე მოსახლეობის სოციალური დონის ამაღლებაზე გვეზრუნა...

წარსულს დარჩა ეს ყოველივე. მთავარია, ახალმა მთავრობამ ყოფილი მმართველი გუნდის ყოველი შეცდომა გაითვალისწინოს და საკუთრივ არ დაუშვას შეცდომები, ომში დაცემულთ ღმერთებიც პატივს სცემენ. ადამიანებმა უნდა მიაყურადონ საზოგადოების გულის ხმას და იცხოვრონ მისი ტკივილითა და სიხარულით. ახლა, როგორც არასდროს, არ არის დაპირისპირების დრო, უნდა დავწყნარდეთ, უნდა დავმშვიდდეთ, ჩვენი ქვეყანა ერთად უნდა ვაშენოთ. ცალ-ცალკე ბრძოლა კი არა, სიმღერა არ გამოდის.

ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ არის გასაკეთებელი....

ჩემს პოზიციას რაც შეეხება, ვაჟას სიტყვებით დავამთავრებ: „მე არცერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა.“ ჩემთვის მთავარი საქართველოს სამსახურია.

მოგელი ხუხია.

რესპოდენტის როლში ყოფნა არ უყვარს, არ უყვარს, როცა აქებენ და ხოტბას ასხამენ. უხმაუროდ აკეთებს თავის გასაკეთებელს და მხოლოდ ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნავს. სანაცვლოდაც მათი სიყვარულის მეტს არას ითხოვს. საოცრად მადლიანი ქალბატონი გახლავთ მზია კუტალია. წლებია, რაც ის ხობის ნოტარიუსად მუშაობს. ცხოვრებაში იოლად არაფრისთვის მიუღწევია და მისი ცხოვრების გზაც, როგორც თავად ამბობს, ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. თუ როგორი იყო მის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, სად და როდის შედგა მისი პროფესიული პრაქტიკა. ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ მას სამსახურში ვეწვიე.

ქალბატონო მზია, წლებია რაც თქვენ ხობის ნოტარიუსი ბრძანდებით, მოგვიყევით იმ გზის შესახებ, რომელიც დღემდე გამოიარეთ?

–ნინო, ძალიან არ მიყვარს რესპოდენტის როლში ყოფნა.

რატომ?

–არ მიყვარს ჩემს თავზე საუბარი. თავის წარმოჩენა. რა გავაკეთე ისეთი, ჩემზე ვილაპარაკო. ვარ ჩვეულებრივი ქალი; ჩემი ცხოვრების გზა ისეთივე ჩვეულებრივია, როგორც სხვა ათი ათასობით ქალისა. 1963 წელს ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე,

ტარიუსად, სადაც ამჟამადაც ვმუშაობ. ესაა ჩემი განვლილი გზა როგორც იურისტის და არა ცხოვრებისა.

მაშ ცხოვრების გზა როგორია?

–ჩემი ცხოვრების გზა ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა, ცხოვრებაში არაფრისთვის იოლად არ მიმიღწევია. ყველასათვის ცნობილია, რომ 17 წელია ვატარებ, ცხონებული რუბენ თუთბერიძის ქვრივის სახელს. მეამაყება, რომ მისი მეუღლე ვიყავი. მის სახელს ჩრდილი არასოდეს მიადგება.

რადგან საუბარმა მოიტანა, შვილებზე გვიამბეთ ქალბატონო მზია. ვიცი არ გიყვართ მათი სხვასთან ქება...

პოლიტიკოსები პოლიტიკას მოუვლიან

დავამთავრე 1969 წელს.

არ მინდოდა რესპოდენტის ამპლუაში ყოფნა, მაგრამ იცით რატომ ვერ გითხარით უარი? თქვენ ხართ იმ დიდი ქალბატონის შთამომავალი, რომელმაც ჩემს კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

1969 წლის 25 აგვისტოს გამოუცდელმა ახალგაზრდამ ჩემი დიპლომით შევაღე ცხონებული თალიკო გოგინავას–ულამაზესი ქალბატონის კაბინეტის კარები. შემიძლია გითხრათ, წარმოების კარგი ხელმძღვანელები დიდ როლს ასრულებენ ახალგაზრდის კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში. ორი წელი საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად ვიმუშავე.

ამ ბრწყინვალე ქალბატონმა შემაჩვია დისციპლინას, პასუხისმგებლობას. მაშინდელი „რაიკავშირი“ თალიკო გოგინავას ხელმძღვანელობით იყო ერთ დიდ ბირთვად შეკრული გუნდი. ის იყო მკაცრი სამსახურში და დედასავით თბილი მის გარეთ.

ამ ძლიერი ქალბატონის რეკომენდაციით უკვე გამოცდილი ახალგაზრდა ვინიშნები რაიონის იურისკონსულად სოფლის მეურნეობის სამმართველოში. აქაც გამიღიმა ბედმა. სამმართველოს უფროსად მაშინ მუშაობდა ყველასათვის საყვარელი პიროვნება, ხობის კოლორიტი ვალიკო კილასონია. მისი ყველა თანამშრომელი დაწყებული ვლადიმერ ჩხეიძეთი და დამთავრებული ჩემი მეუღლით–რუბენ თუთბერიძით, ყველანი მაღალი დონის სპეციალისტები გახლდნენ. მაშინ დუღდა და გადმოდუღდა ცხოვრება ორგანიზაციებში. ნუ მიწყენთ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ახლა რცხვენიათ ახალგაზრდებს შეკითხვის, დახმარების თხოვნის. მაშინ ასე არ იყო. ეს სირცხვილად არ მიიჩნეოდა. სირცხვილია, როცა შენს საქმეს მაღალ დონეზე ვერ შეასრულებ. ამ ხნის ქალს, ამდენი ხნის სტაჟის მქონეს, მე არ მრცხვენია ამა თუ იმ საკითხში დახმარება ვითხოვო.

უკვე „გამოცდილი“ იურისტი 1984 წელს ვინიშნები ხობის რაიონის ნო-

–ვიცი ერთი რამ–უღალატონი მოსიყვარულენი არიან. უფროსი ირმა თუთბერიძე ექიმი კარდიოლოგია, მუშაობს თბილისში „ნეოკლინიკაში“. ყავს მეუღლე ზურაბ მამალაშვილი პროფესიით ელექტროინჟინერი, მუშაობს თელასში უფროს სპეციალისტად. შვილი ავთანდილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტია. შუათანა შვილი ინგა პროფესიით ინჟინერეკოლოგია, ცხოვრობს მოსკოვში. მეუღლე ამირან ხურცილავა აგრონომია, ეწევა მცირე ბიზნესს. გიორგი, ჩემი უმცროსი შვილი პროფესიით „საფინანსო და საბანკო საქმიანობის მენეჯერია“, მუშაობს ქ. ფოთში ტერმინალში ოპერატორად. რძალი სოფიო გვასალია ინგლისური ენის სპეციალისტია, ასწავლის ხობის №2 საჯარო სკოლაში. ყავთ 7 წლის ირაკლი და 4 წლის თამარი. ჩვენს ოჯახს სავსებით ავსებს ის სითბო და სინათლეა რაც ჩემი სოფოდან გადმოდის, ამ მხრივ ძალიან ბედნიერი ვარ. მადარდებს, რომ ჩემი მეუღლე ვერ მოესწრო ამ სითბოს.

როგორ ფიქრობთ, იურისტობა ქალისათვის მძიმე პროფესიაა?

–თუ შენი პროფესია გიყვარს, მაშინ ძნელი არაფერი არ არის. რომელი პროფესიაც არ უნდა ავიღოთ, ყველა თავისთავად ძნელია, მაგრამ, როცა გიყვარს სირთულის დაძლევა, ვფიქრობ ადვილია.

რამ გადაგაწყვეტინათ იურისტობა?

–ბავშვობიდან მიყვარდა დეტექტივების კითხვა და მაღალმთიან სვანეთში მინდოდა გამომძიებლობა. ოჯახის გავლენით კი სულ სხვა გზით მომიხდა სიარული. ხედავთ ნოტარიუსი ვარ. ცხოვრება ზოგჯერ სულ სხვა გზით გატარებს, მაგრამ მთავარია, ამ გზაზე სწორად იარო.

ხომ არ გაიხსენებდით როგორ მოხვედით ნოტარიუსად?

–1984 წლის ნოემბრის თვეში განთავისუფლდა ნოტარიუსის ადგილი. იუსტიციის სამინისტრომ ხობში ნოტარი-

>>>>>>>>>> 4

3

პოლიტიკოსები პოლიტიკას ამუვლიან

უსად ვინმე ფრანგიშვილი დანიშნა. ხობის რაიკომის მდივანი გახლდათ ყველასათვის ცნობილი, ერუდირებული, ძლიერი პიროვნება ბატონი ნუგზარ ნადარაია. ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნას მაშინ რაიკომს უთანხმებდნენ. ამ შემთხვევაში სრულიად შეუთანხმებლად მოხდა ფრანგიშვილის დანიშვნა. ნუგზარ ნადარაიამ ეს არ აპატია მინისტრს, საჩქაროდ იქნა გამზადებული ჩემი დოკუმენტაცია და მე გავხდი იმ სცენის თვითმხილველი, რაც იუსტიციის მაშინდელი მინისტრის შუშანაშვილის კაბინეტში დატრიალდა. შუშანაშვილს კატეგორიულად მოთხოვა ამ ადგილზე ჩემი დანიშვნა, რად მინდა თავად რაიონს შესანიშნავი იურისტი ყავსო. ახლავე გაუქმე შენი კოლეგიის გადაწყვეტილება და დამინიშნე კუტალიაო. შემომხედა ბატონმა შუშანაშვილმა ალმაცერად. თქვენ წარმოიდგინეთ მე რა დღეში ვიქნებოდი, როგორი შესახედავი, როგორც დამფრთხალი ჩიტი. ეს გინდა დავნიშნოო? ბატონმა ნუგზარმა შემომიბდღვირა და კაბინეტიდან ხელჩაკიდებულმა გამომიყვანა. მან თავისი გაიტანა და 1984 წლის 10 ნოემბერს ჩემი კანდიდატურა სამინისტროს კოლეგიამ დაამტკიცა. იმ დროიდან მოყოლებული ვარ ნოტარიუსი. 2010 წლის 25 მაისს შემისრულდა საპენსიო ასაკი. ჩემდა მოულოდნელად იუსტიციის მინისტრის (ყოფილი) ბრძანებით, 5 წლის ვადით გამიგრძელდა ნოტარიუსად მუშაობის ვადა.

რა მომსახურებას სთავაზობს ნოტარიალური სამსახური დღეისათვის ხობელებს?

–ნოტარიუსებისათვის სანოტარო მედიაციაში ტრენინგები დაიწყო. ჩვენ სწავლებას ერთი თვის განმავლობაში ეტაპობრივად გავივლით. ტრენინგების დასრულების შემდეგ ნოტარიუსები შესაბამის სერტიფიკატებს მივიღებთ და მედიატორის ფუნქციას შევასრულებთ. ჩვენ ეს ფუნქცია „ნოტარიუსის შესახებ საქართველოს კანონში“ შესული ცვლილებების თანახმად მოგვენიჭა. ნოტარიუსი შეიძლება იყოს მედიატორი მოდავე მხარეთა შორის: სამემკვიდრეო, სამეზობლო, საოჯახო და სხვა დავების შემთხვევაში.“ მედიაცია, მათ შორის სანოტარო მედიაცია მხარეებს უადვილებს პრობლემის მოგვარებას. დაზარალებულ მხარეს აღარ უწევს სასამართლოში წასვლა, იხდის ნაკლებს, ამასთან მორიგების აქტი მოწმდება იქვე, სანოტარო წესით და ნოტარიუსი, საჭიროების შემთხვევაში, გასცემს სააღსრულებლო ფურცელს. ონლაინ მომსახურების სერვისი ახალი არ არის, მაგრამ ბევრმა არ იცის მისი მნიშვნელობა. საქართველო პირველი ქვეყანაა, რომლის ნოტარიუსები პირდაპირი კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით ონლაინ რეჟიმში ემსახურებიან საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს და ასევე საქართველოს შიგნითაც არეგისტრირებენ მინდობილობებს, განცხადებებს, თანხმობებს. მომავალში მუშავდება ხელშეკრულების დარეგისტრირების საკითხი. თავად მე ონლაინ რეჟიმით დარეგისტრირებული მაქვს ორასზე მეტი სანოტარო მოქმედება. ასე, რომ მზად ვარ მოქალაქეები მაღალ დონეზე მივიღო.

ხართ თუ არა მეოცნებე და რაზე ოცნებობთ ხოლმე?

–რაზე ვოცნებობ? იდილიაზე, რა თქმა უნდა მშვიდობაზე, ყველა ჩემიანის ჯანმრთელობაზე, სახელოვან ცხოვრებაზე, ჩემი პროფესიული ცხოვრების დაუმარცხებლად გავლაზე და ნეტა შემეძლოს ყველა იმ გაჭირვებულის დახმარება, რომლებიც ჩემთან ბიუროში მოდიან. მინდა ყველა ბედნიერი იყოს, ჩინიანი და უჩინო, ქალი თუ კაცი.

ქალბატონო მზია, როგორც არ უნდა გვინდოდეს, პოლიტიკის თემას გვერდს ვერ ავუვლით და როცა უკვე ქვეყანაში ჩატარებულია საპარლამენტო არჩევნები, დამტკიცებულია მინისტრთა კაბინეტი თქვენ როგორ შეაფასებდით დღეს განვითარებულ მოვლენებს?

–მოვლენების შეფასებაზე, მე ჯერ-ჯერობით თავს შევიკავებდი, მაგრამ მინდა გითხრათ ერთი რამ, თითოეულმა ჩვენი საქმე ვაკეთოთ ჩუმად და პატიოსნად, მაღალ დონეზე და, პოლიტიკას პოლიტიკოსები მოუვლიან.

ის მაინც მითხარით, უკეთესი მომავლის რწმენა თუ გაქვთ?

–არა მგონია ვინმე იყოს ისეთი, ვისაც ხვალინდელი დღის რწმენა არ ქონდეს. მე მზია კუტალია, უკეთესი მომავლის რწმენის გარეშე ვერ ვიცხოვრებ.

და ბოლოს, რა არის ბედნიერება?

–ჩემი აზრით ქალი ბედნიერია მაშინ, როცა, გვერდით ყავს მოსიყვარულე, ძლიერი მეუღლე, კარგი შვილები და არის სიმშვიდე მის ირგვლივ. არ მიყვარს პირფერი, ყოყლოჩინა ადამიანები. ძალიან ვაფასებ შრომისმოყვარე, ერუდირებული ბუნების ადამიანებს.

ესაუბრა
ნინო გერგაია.

● დღევანდელობა

მუნიციპალიტეტი მეტამორფოზას განიცდის...

ყველაფერი დღევანდელი თითქოსდა ჩვეულ ნორმად იქცა, თუმცა, წარსულისთვის თვალის ერთი წუთით გადავლებაც კმარა, რომ დავრწმუნდეთ, რა მეტამორფოზაც განიცადა ქალაქმა თუ სოფელმა.

შემოდგომა ბოლო დღეებს ითვლის... თუმცა, ხობში ყველა დრო თავისებურად ლამაზია. აქ წელიწადის ნებისმიერ დროს არ ჩერდება სარემონტო სამუშაოები. დღითიდღე უმჯობესდება ჩვენი მუნიციპალიტეტის იერ-სახე და ამ სასიკეთო ცვლილებას ყველა ჩვენთაგანი კარგად ხედავს.

ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით გრძელდება ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები დასრულდა ქ. ხობში ნაგავსაყრელი პოლიგონის ტერიტორიაზე, ძველ ხიბულაში შუა ჭალისა და საქანთარიოს უბნებში და სოფელ პატარა ფოთსა და შავღელეში. ასფალტბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა ნოჯიხევის თემის სოფელ ნოჯიხევში ჭავჭავაძის ქუჩაზე.

გაუმჯობესდა ბენეფიციართა მდგომარეობაც. „სათნოების სახლს“ ჩაუტარდა რემონტი, მოხდა იატაკის რეაბილიტაციის სამუშაოები, იატაკი მოეწყო კერამიკული ფილებით, ხოლო არსებული კარისა და ფანჯრის ბლოკები შეიცვალა მეტალოპლატსმასით. გაუმჯობესდა სამზარეულოს პირობები, შეძენილიქნა ახალი ჯამჭურჭელი, შეივსო ინვენტარით. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასევე ახალსოფლის თემის №1 საბავშვო ბაღის ოთახებს. ახალი ხიბულის თემში კი ამბულატორიის რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გრძელდება ხობის მუნიციპალიტეტის თემებისა და სოფლებისათვის პრიორიტეტული საკითხების გადაჭრა. პროგრამის ფარგლებში საჯიჯაოს თემის სოფელ ჯაპიშაქარში მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა. ასევე, საჯიჯაოს თემის სოფელ ზუბში დასრულდა სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები. ობიექტზე მოეწყო ლითონის მილხიდი ბეტონის გვერდულებით.

გზის რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა ახალი ხიბულის თემის სოფელ გაშფერდში, სადაც რკინა-ბეტონის სათავისებით მოეწყო ხიდ-ბოგირები, ხოლო მილხიდზე მისასვლელები და გზის საფარის დაზიანებული მონაკვეთები აღდგენილიქნა ქვიშახრეშოვანი ნარევით. ახალი ხიბულის თემის სოფელ ახალ ხიბულაში დასრულდა მინი სტადიონის კეთილმოწყობა. ობიექტზე განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: მავთულბადის ღობე გადაადგილებულიქნა 1,5 მ-ით, მოეწყო მაყურებელთა დასაჯდომი ადგილები, მოედნის ირგვლივ გაიჭრა წყალსაწრეტი არხი, არხიდან ამოღებული გრუნტით კი მოხდა მოედნის ზედაპირის მოსწორება.

ამავე პროგრამით სამუშაოები აქტიურად ხორციელდება პირველი მაისის თემში, კერძოდ, სოფელ ჭიხუში. საკვიკვინიოსა და ბულიწყუში ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით გზების შეკეთების სამუშაოები დასრულდა. ასევე სოფელ ბულიწყუში დამთავრდა სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში გრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მიმდინარე ეტაპზე დასრულებულია სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოები ქ. ხობში ფოთის ქუჩაზე, გურიფულისა და შუა ხორგის თემებში, ქ. ხობში „სათნოების სახლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დასრულდა საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე და კოლხეთის დასახლებაში დასრულდა გარე-განათების მოწყობა, პირველი მაისის თემში ეკლესიის მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხამისქურის თემში პიერ კობახიძის სახელობის სახლ-მუზეუმის წინ ღელეზე წარეცხილი ნაპირის გამაგრების სამუშაოები, ხამისქურის თემის საფარცვანიოს უბანში დასრულდა ხიდ-ბოგირის მოწყობა.

წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები განხორციელდა პირველი მაისის თემის „ოქროს საწმისის“ უბანში, ხამისქურის თემში სასმელი წყლის მაგისტრალი მოეწყო.

რაც შეეხება ადგილობრივი გზების მოხრეშვის სამუშაოებს, იგი დასრულდა ქ. ხობში კინოთეატრ „თუთარჩელას“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სამეგრელოს ქუჩაზე და კოლხეთის დასახლებაში, ნოჯიხევისა და ახალი სოფლის თემებში. პროგრამის ფარგლებში ობიექტზე მოხდა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის ავტოგრეიდერით გაშლა.

ქალაქში რამდენიმე დასასვენებელი ადგილი, პარკი და სკვერი გაკეთდა. უდავოა, დღეს ფეხით მოსიარულეთათვისაც მოძრაობა ბევრად კომფორტულია. თითქმის ყველა ქუჩა მოწესრიგდა...

ცოტნე დადიანის ქუჩა, რომელიც ამ დრომდე მოუწესრიგებელი იყო, დღეს №236 საცხოვრებელი სახლიდან №244 საცხოვრებელ სახლამდე ტროტუარის გალამაზება ხდება. კერძოდ, გაზონისა და ცხაურების მოწყობა, ველობილიკის გაკეთება და ბაზალტის ქვაფენილის დაგება. სამუშაოს შპს „შარაგზამშენი პირველი“ აწარმოებს, რომელიც წლის ბოლოსთვის დასრულდება.

რაც შეეხება ბორდიურს, რომელიც ამავე ქუჩაზე გაკეთდა, სამუშაო შპს „ტაომ“ შეასრულა და დღეისთვის დასრულებულია.

მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია უნივერმაღის მიმდებარე ტერიტორიიდან კოსტავას ქუჩის გადაკვეთამდე ბორდიურების მოწესრიგება, რაც უდაოდ ქალაქის იერ-სახეზე დადებითად აისახება...

ნანა კემულარია

„ჩვენ ჩვენი დროშა ამაყად გვეჭირა“

*საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი ბრიგადის 23–ე ბატალიონმა ავღანეთში **ISAF**-ის მისია დაასრულა. 23–ე ბატალიონის ბოლო ნაკადი 246 სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით სამშობლოში ნოემბრის თვეში დაბრუნდა.*

ვიცე-პოლკოვნიკ რომან ჯანჯულიას მეთაურობით, 23-ე ბატალიონმა ავღანეთში ნატოს ეგიდით მიმდინარე ოპერაცია დანაკარგის გარეშე დაასრულა. ქართველი სამხედროები შვიდი თვის განმავლობაში მისიას ჰელმანდის პროვინციაში ამერიკული კონტიგენტის შემადგენლობაში ასრულებდნენ. მათი მთავარი ამოცანა პროვინციის სამოქალაქო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და მოძრავი საკონტროლო საგუშაგოების მოწყობა იყო.

როგორც აღინიშნა, ბიჭები საქართველოში დანაკარგის გარეშე დაბრუნდნენ. მათ შორის იყო ოჩამჩირედან დევნილი გოჩა ჯიქია.

გოჩა 1985 წლის 17 მაისს ქ. ოჩამჩირეში დაიბადა. აფხაზეთის ომის შემდეგ კი მისმა ოჯახმა თავი ხობს შეაფარა და აქ დაფუძნდნენ. ხობი მშობლიური ქალაქივით შეიყვარეს და დღეს, სხვაგან ცხოვრება ვერც წარმოუდგენიათ. გოჩამ და მისმა ძმებმა ხობის №1 საშუალო სკოლა დაამთავრეს, სკოლის დამთავრების შემდეგ კი გოჩა 2007 წლიდან თავდაცვის სამსახურშია, სენაკის მე-2 ბრიგადაში. ყავს მეუღლე ანა შენგელია და ორი შვილი–ლიზი და რობერტი.

გოჩას ავღანეთიდან მშვიდობიანად დაბრუნების შემდეგ, შინ ვესტუმრე და ინტერვიუც შედგა...

უპირველესი, რამაც ავღანეთში წასვლა გადამაწყვეტინა, ჩემი ოჯახის მომავლისთვის ზრუნვა იყო. როგორც ქვეყნის პატრიოტი ადამიანი, თავი მოვალედ ჩავთვალე“–მითხრა მან...

გილოცავ საქართველოში მშვიდობიანად დაბრუნებას... რამდენი ქართველი ჯარისკაცი იმყოფებოდით ავღანეთში?

–ძალიან დიდი მადლობა. 21 აპრილს ავღანეთში ჰელმანდის პროვინციაში რვაასამდე სამხედრო მოსამსახურე წავედით...

მოდი, განგვიმარტე, ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთში რა ამოცანის შესრულება გიწევდათ?

–დაკისრებული გვქონდა ფეხით და ავტოტრანსპორტით პატრულირება, კონვოირება, ასევე საკონტროლო საგუშაგოების მოწყობა. ბატალიონი ამბოხების საწინააღმდეგო მოვალეობაზე სრულ სპექტრს ასრულებდა. ჩვენ ნამდვილად წარმატებულად ვასრულებდით დაკისრებულ ოპერაციებს, ვთანამშრომლობდით ავღანულ ნაციონალურ პოლიციასთან და არმიასთან. ვიყავით საზღვაო ქვეითების პარტნიორები. ასევე ვაწარმოებდით სამოქალაქო ურთიერთობების ოპერაციებს, ვეხმარებოდით ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გაგვუმჯობესებინა მათი ცხოვრების და უსაფრთხოების პირობები, ამ მიზნით, ჩვენთან ერთად სპეციალური, საზღვაო ქვეითთა ქვედანაყოფები მუშაობდნენ.

რატომ არიან ქართველები მაინცდამაინც ავღანეთის ყველაზე ცხელ წერტილში–ჰელმანდის პროვინციაში?

–იმიტომ რომ ჰელმანდის პროვინცია ყველაზე ცხელი წერტილია და დღემდე ცხელ წერტილად რჩება. იქ ყოველდღე ხდება ინციდენტები... ყოველდღიურად დაფრინავს ტყვიები და ყოველ დღე ფეთქდება თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა. გარეთ თავისუფლად ვერ გადიხარ, მუდამ საფრთხის ქვეშ ხარ. როგორც გითხარით ჩვენ თალიბებისგან ვიცავდით იქაური გლეხი ხალხის უსაფრთხოებას. პრაქტიკულად, ყველა ის პარტნიორი ქვეყანა ვისთანაც ერთადაც ჩვენ მსახურობდით, ჩვენი გამბედაობით და პროფესიონალიზმით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ჩვენ, ჯარის წარმომადგენლები კი ამ ცხელი წერტილის, ყველაზე ცხელ წერტილებში ვიყავით განლაგებულები და ამაყად გვეჭირა ჩვენი დროშა...

ავღანეთში გამგზავრებამდე რამე მომზადებას თუ გადიოდით?

–რა თქმა უნდა. სამშვიდობო მისიისთვის ექვსთვიანი ინტენსიური მომზადება ორივე ბატალიონმა კრწანისის სასწავლო ცენტრში გავიარეთ. სწავლებას ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების საექსპედიციო ბრიგადა ხელმძღვანელობდა. სამხედროები გერმანიაში ვიმყოფებოდით, სადაც სამხედრო წვრთნებს აშშ-ის გაერთიანებული მრავალეროვანი მზადყოფნის ცენტრში **(JMRC)** გავდიოდით. წვრთნების დასრულების შემდეგ ქართველმა სამხედროებმა დადებითი შეფასება მივიღეთ როგორც ცენტრის ექსპერტების, ასევე ამერიკელი საზღვაო ქვეითების ტრენერთა მრჩეველთა ჯგუფის მიერ.

გვასწავლიდნენ უსაფრთხოების ზომების დაცვას, რომელიც ნამდვილად გამოგვადგა თითოეულს.

რას გაიხსენებდით იქ ყოფნის დროს სასიამოვნოსა და უსიამოვნოს?

–სასიამოვნოს ისეთს ვერაფერს გავიხსენებ, თუ არ ჩავთვლი ოჯახის წევრებთან დაკავშირებას, რომელიც ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებით ხდებოდა. ჩემს ოჯახთან საუბარი ნამდვილად დიდი ბედნიერება იყო. ოჯახი ჩემს ავღანეთში ყოფნას ძალიან განიცდიდა, ბუნებრივიცაა. ხოლო, უსიამოვნო–არ მახსოვს, უბრალოდ ყოველი დღე დაძაბული იყო!

ერთ დღეს, ჩემს თვალწინ 27 ტონიანი მანქანა აფეთქდა, რომელშიც პირადი შემადგენლობით 3 ქართველი სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა. ორი ნაღმი ერთად დაუდეს თალიბებმა, მანქანა კი აფეთქდა, მაგრამ ჩვენი სამხედროები ღვთის წყალობით სასწაულებრივად გადარჩნენ.

რა სოციალური გრანტებით სარგებლობენ ავღანეთსა და ერაყში ნამყოფი ჯარისკაცები?

–მინდა აღვნიშნო და დიდი მადლობა ვუთხრა თითოეულ მათგანს ვინც დაგვაფასა. თავდაცვის მინისტრმა გადმოგვცა მედლები და სიგელები, როგორც განთქმულ მეომრებს. მეხუთე კონტიგენტია და პირველი შემთხვევაა, საქართველოში რომ უდანაკარგოდ ჩამოვედით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის სამხედროები „სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისთვის,“ უწყებრივი და სახელმწიფო ჯილდოები **ISAF**-ის ოპერაციაში მონაწილე 23-ე ბატალიონის და ქვეითი ასეულის შემადგენლობას გადმოგვეცა.

ვსარგებლობ სადაზღვევო პოლისით, შეღავათები გვაქვს საავადმყოფო ცენტრებში, სადაც მედიკამენტებზე ფასდაკლებით ვსარგებლობთ.

რას ფიქრობ სამომავლოდ?

–ცხოვრებას გავაგრძელებ ჩვეული რიტმით, ვიმსახურებ ჯარში და ვიზრუნებ ქვეყნისა და ოჯახის კეთილდღეობისათვის

მსაუბრა ნანა კემულარია.

მშვიდობიანი მისიისათვის

„როცა ოჯახში განვაცხადე, ავღანეთში, სამშვიდობო მისიის შესასრულებლად მივდივარ მეთქი, ცოტა არ იყოს შეშფოთდნენ. დედის თვალებში შიშმა გაიელვა, ხოლო მამამ, ჩუმად მკითხა, ხარ კი ამისთვის მზად? დედაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ მამა კაცურად შეხვდა ჩემს გადაწყვეტილებას. უკვე ყველაფერმა ჩაიარა, უკან დარჩა რეალური საფრთხეები, ბედნიერი ვარ რომ მე და ჩემი მეგობრები საღ-სალამათები დავბრუნდით, პირნათლად შევასრულეთ ჩვენი მისია, რომელიც ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციის ფარგლებში მიმდინარეობდა“–გვიყვება ქართველი ჯარისკაცი, ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციის მონაწილე ბაჩანა ჭითაშვილი.

„თუ ავღანეთში ნამყოფი ჯარისკაცი ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი ბრძოლისუნარიანობის გამოცდა ჩაბარებული გაქვს. მართალია, დედის მერიდებოდა, მარტოს რომ ვტოვებდი, მაგრამ გადავწყვიტე ჩემი თავი გამომეცადა, თანაც დედას ფინანსურად დავეხმარებოდი. ავღანეთში ყოფნის პერიოდმა დამარწმუნა, რომ ჩვენ, ქართველი ჯარისკაცები, საკმარისად ძლიერები და პასუხისმგებლიანი ხალხი ვართ,“–ამბობს ბიელი ზურაბ ბენდელიანი.

ბაჩანა ჭითაშვილი და ზურაბ ბენდელიანი, ხობის მუნიციპალიტეტის ბიის თემის მცხოვრებლები არიან, ისინი ახლახანს დაბრუნდნენ ავღანეთიდან და ჩვენი შეხვედრაც ამის შემდეგ შედგა.

ცოტა რამ თქვენს ბიოგრაფიაზე.

–ვარ ბაჩანა ჭითაშვილი, 26 წლის, დავამთავრე ბიის საშუალო სკოლის VIII კლასი, შემდეგ ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელში ვსწავლობდი. რომლის დამთავრების შემდეგ, 2006 წლის 25 იანვარს პირდაპირ წავედი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, საკონტრაქტო ხელშეკრულებით.

–ზურაბ ბენდელიანი, 22 წლის, უცოლ-შვილო, დავამთავრე ბიის საშუალო სკოლა. თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტს ხელი 2009 წელს მოვაწერე.

–სპეციალური მომზადება სასწავლო ცენტრის მოსამზადებელ ბაზებში გავიარე წვრთნის ბოლოს ჩვენი მომზადების დონე და მზადყოფნა ავღანეთში კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად, როგორც ცენტრის ექსპერტებმა, ისე ამერიკელმა ტრენერებმა და მრჩეველთა ჯგუფმა შეაფასეს და კმაყოფილები დარჩნენ. გვითხრეს, სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის შემდეგ ბრძოლისუნარიანობის ხარისხი გაგიუმჯობესდებათო,–გვიყვებიან ბიჭები.

–ჩვენ ვმსახურობდით ჰელმანდის პროვინციაში, რომელიც ერთ-ერთ საშიშ ადგილად ითვლება ავღანეთში. პირველი, რაც თვალში მოგხვდებოდა პირველად ჩასულებს, ცხელი ქარი და ქვიშა იყო. შორს მთები ჩანდა. ჩვენ, როგორც განგვიმარტეს, პატრულირება გვევალებოდა, მუდმივად უნდა გვეკონტროლებინა ჩვენი პერიმეტრი, რომ მიმდებარე ტერიტორია თალიბებს არ დაენაღმათ. ეს მოსაყოლად არის ადვილი, შეასრულებლად ძალიან ძნელია, რადგან ყველა შავი წერტილი, რომელსაც ქვიშიან ჰორიზონტზე ხედავ, თალიბი ტერორისტები გგონია.

–ჰელმანდის პროვინცია ქვეყნის სამხრეთით მდებარეობს და პაკისტანს ესაზღვრება და ყველა იმ გზისა და საცალფეხო ბილიკის გაკონტროლება გვიწევდა, საიდანაც თალიბებს ნარკოტიკები გაჰქონდათ და იარაღი შემოჰქონდათ. თალიბებისათვის არ არსებობს უგზოობის პრობლემა, მთაგორიან ადგილებშიც ღამეც კი თავისუფლად დადიან.

–სწავლება წასვლის წინ ურთულესი იყო. იგი შეეხებოდა როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ თვალსაზრისს. ამერიკელი ინსტრუქტორები არ მალავდნენ იმ ფაქტს, რომ ქართველებს კარგი ფიზიკური მონაცემები გვქონდა, მაგრამ იარაღის მოხმარებაში დაოსტატება გვჭირდებოდა. ისინი ხშირად გვიმეორებდნენ, რომ მსოფლიოს ტერორიზმთან ბრძოლა და მშვიდობისათვის ზრუნვა სახიფათო მისია იყო, რომელსაც ვაუკაცურად შევეჭიდეთ და ბოლომდე ღირსეულად მივიყვანთ.

–იქ ყოფნისას პირველად ვნახეთ ნაღმზე აფეთქებული ამერიკელი მანქანა, მაგრამ მომხდარის გაანალიზება ჩვენ არ გვევალებოდა. ჩვენ მხოლოდ ჩვენი ღირსეული მსახურებით ვცდილობდით მათი ხსოვნისათვის პატივისცემის მიგებას. ყოველი დღე საშიში იყო და ბიჭები,

ყოველ დილას უფალს მადლობას ვწირავდით, რომ ღამემ მშვიდობით ჩაიარა და ვლოცულობდით, დღეც მშვიდობით დასრულებულიყო. ასეთ მძიმე დროს მეომრები ერთმანეთისგან ბევრ რამეს ვსწავლობდით. ჩვენ ამერიკელებისგან იარაღის მოხმარების ხელოვნებას ვწავლობდით, ისინი მოთმინებასა და შინაგან სიმტკიცეს ჩვენგან იღებდნენ.

–ომი მათთვის, უბრალოდ უცხო ხილია, ვიდრე ჩვენთვის, ჩვენ ომი საკუთარი თვალით ვნახეთ, მათ კი ეს მხოლოდ კადრებში უნახავთ. მათ ჩვენი გამძლეობა და სიმტკიცე აკვირვებდათ.

–უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობას სხვა ქვეყნის ჯარისკაცებისაგან განსხვავებით, ჩვენთან განსაკუთრებული, თბილი ურთიერთობები გაჩნდა. მათ მოსწონდათ ჩვენი უშუალო, ჰუმანური დამოკიდებულება მათდამი, გვხვდებოდნენ ღიმილით, უფრო გახსნილები იყვნენ ჩვენთან.

–ნებისმიერი მეომრისთვის ავღანეთში ყოფნა დიდი გამოცდილებაა, თუნდაც იმიტომ, რომ ტყვიას ეჩვევი, საკუთარი თვალით ხედავ შენს შესაძლებლობებს, ხდები უფრო კორექტული, მობილიზებული, გამჭრიახი. ერთი სიტყვით, დავასრულეთ უცხო მიწაზე სამხედრო გამოცდილების მიღება, ამავე დროს ვაგრძელებთ სამხედრო სამსახურს.

კითხვაზე, რას ფიქრობთ მომავალზე, რას აპირებთ, ავღანელი ბიჭების პასუხი ძალიან მოკლეა, ამას დრო მოიტანს.

მანანა შულაია.

ჯვეამაყები!..

მამანტი ძაძამია–70

ბატონო მამანტი, თქვენ, სიცოცხლეშივე აღიარებულმა მამულიშვილმა, რომელმაც თვალცხადლივ წარმოაჩინეთ საქართველოსა და ქართველი ერის თვითმყოფადობა... ჩვენ, ფაზისელ ცოტნეიდელებს–„აღმსარებელთ მცნებისა უფლისა და დამდებელთ სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის“–გვეამაყება, რომ ფაზისის მეცნიერებათა საერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ 2007 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია გაუწია თქვენი ფუნდამენტური ნაშრომის–„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვაწარმომავლობა“ –შვიდტომეულის გამოცემას.

სადღეისოდ დადასტურებულია, რომ უძველესი მეგრული ერთ-ერთი ქართველური ენაა და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის წინამორბედ ენად გვევლინება, როგორც პროტოქართულ-კოლხური ენა, თქვენს დასკვნებს ეხმიანება და იდენტურად ადასტურებს ფესტოსის დისკოც ძველ-კოლხური, ძველიბერიული, ე.ი. ქართული, სულ მცირე 4000-წლოვანი „ოქროდამწერლობით“.

ამდენად, ღვთის წყალობით, ნათელი გახდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა არა ერთი და ორი ათეული საუკუნის წინათ გვქონდა თავისი სახელმწიფოებრივი ენითა და დამწერლობით... რომ ძველკოლხურ-მეგრული ენა კილოკავი თუ დიალექტი არასდროს ყოფილა. ამდენად ჭეშმარიტი ქართველისთვის შეურაცხმყოფელი ბრალდება „მეგრული რევანშისტული სეპარატიზმისა“ ყოვლად უსაფუძვლოა და გონიერი მტრის თუ უგუნური მოკეთის მიზეზით საერთო ტკივილია, ერთიანი ქართული სხეულის ხერხემალშივე გადატეხის მიზნით ჩაფიქრებული...

ფაზისის (კოლხეთის) სამეცნიერო საერო აკადემიაში ცოდნის მაძიებელნი ევროპიდან და აზიიდან მოემართებოდნენ. სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსები და ორატორები ევგენიოსი და თემისტიოსი, ფაზისში შორეული კეისარიიდან ჩამოსულები, აქ ცოდნის ნაყოფის დაუფლებით ამაყობდნენ კიდეც და ურჩევდნენ თავიანთ შეგირდებს, სწავლა-განათლება სწორედ შორეულ კოლხეთში–ფაზისში მიეღოთ...

ძველ კოლხურ (მეგრულ) ენაზე მეტყველებდნენ მედეა და აიეტი, ქუჯი ეგრისელი, მეფე გუბაზი, მსოფლიოში სახელგანთქმული ორატორები აიეტი, ფარტაზი, მათე, რომელთაც ფაზისის აკადემია ჰქონდათ დამთავრებული.

გულწრფელად და გულმხურვალედ გმადლობთ, ბატონო მამანტი, თქვენი გამოკვლევებისთვის. დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებთ თქვენს მშობლიურ წალენჯიხასთან ერთად–კაცო მენცარო, ჩქინ ტომბა კოჩ!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორე-აღმაშენებლის საგალობლების მადლითა და მისი კურთხევით შექმნილი საქართველოს იმედის ხატის ძალით იბედნიერეთ, გამრავლდით! ახალ წარმატებებს და შემდგომ გამარჯვებებს გისურვებთ სამშობლოს საკეთილდღეოდ! მაღალმა ღმერთმა გვისმინოს!

გფარავდეთ უფალი, ძე ღვთისა იესო ქრისტე, სულიწმინდის მადლით გაბრწყინდეს ქართველი კაცის ნიჭიერება, რათა ისტორიული სამართლიანობით გაიხაროს „ყოველმა ქართველმა,“ სიკეთემ–ცოტნეიდელ-ჭყონდიდელობამ“ გაიმარჯვოს ბოროტებაზე–„შადიმან-ფარსადანობაზე!“

მთები, მთები, მთები... და ცხოვრების
მწვერვალებზე
ამაღლების მოსურნეთა მხედრობა,
თუ ხარ მონა, ამა ქვეყნად
არავინ არ გენდობა,
მორჩილების მონურ ღიმილს,
ნაცვლად თავისუფლებისა,
ვერვინ ვერ შეგბედავთ,
ვერ დაგაბრალებთ,
მათ იციან, რომ თქვენ ქართველთა
უპირველეს ენას იკვლევთ,
და კოლხეთის ისტორიის
ნაპრალებში აღმოჩენილ
წინაპართა ნაფეხურებს
უკვდავყოფით შეჰყურებთ...

ულრმესი პატივისცემითა და სამადლობელით და ფაზისის მეცნიერებათა საერო აკადემიის სახელით.

ნუგზარ ნადარაია,
აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი, ფოთის, მარტვილის, ხობის, იყალთოს, გელათის საპატიო მოქალაქე.

ფაზისის მეცნიერებათა აკადემიას, სრულიად საქართველოს, ჩოხოსანთა საზოგადოების მიმართვა

სრულიად საქართველოს მოსახლეობას, ღვთის მსახურებს, ეკლესიის მრევლს, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართულ დიასპორას, თუ სხვათა და, სხვადასხვა სოციალური ფენის, სტატუსის, პროფესიის, ასაკის (ბავშვებს, მოსწავლე-ახალგაზრდობას, სტუდენტებს, პოეტებს, უბრალო მოქალაქეებს) წარმომადგენლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ს დაბადებიდან მე-80 და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო პროგრამის, როგორც ლექსთა კრებულის, ისე აუდიო ალბომის სახით გამოცემაში, მათ მიერ პატრიარქისადმი მიძღვნილი, გამოუქვეყნებელი ან ჯერაც სრულიად უცნობი ლექსებით, პოემებით, სიმღერებით, თუ პორტრეტებით, ჩვენი საზოგადოებისა, რომლიდანაც ამორჩეულიქნება საუკეთესოები.

ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ, მისი უწმინდესობის მიერ ქედმოუხრელი შრომით, რუდუნებით და სიყვარულით მოპოვებული უდიდესი ღვაწლი და დამსახურება ჩვენი ერისა და ქვეყნის წინაშე მომავალ თაობას დარჩეს ისტორიაში, როგორც პოეზიის მარგალიტებად აკინძული თუ მუსიკალური ჰანგებად აყღერებული.

გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ ამ მამულიშვილურ საქმეში და მასალები მოგვაწოდოთ. შექმნილია საორგანიზაციო ჯგუფი: მარინა ხონელიძის, გურამ შენგელიას, დეკანოზ იაკობ აბაშიძის, დეკანოზ პეტრე კვარაცხელიას, იგო შიოლაშვილის, ერეკლე საღლიანის და ოთარ ხარჩილავას შემადგენლობით.

მასალას თან უნდა დაერთოს, თქვენი ერთი ფოტოსურათი 4/5, მოკლე ავტობიოგრაფია, მისამართი, ბინისა და ოფისის ტელეფონები, ელ-ფოსტის მისამართი.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

პატივისცემით,

საორგანიზაციო ჯგუფის სახელით ***გურამ შენგელია, ლიანა წურწუმია.***

მისამართი: ქ. თბილისი, სამების საკათედრო ტაძრის ცენტრალური შესასვლელი, I სართული, ჩოხოსანთა საზოგადოების ოფისი.

ტელ: 790–77-08-81 მაგთიფიქსი;

მობ: 595 77-09-11; 593–34-83-00; 551–34-83-00.

ქრონიკა

ფაზისის მეცნიერებათა საერო აკადემიის ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დამტკიცდა აკადემიკოსი გოგიტა ჩიტაია და შეყვანილიქნა პრეზიდიუმის შემადგენლობაში; აკადემიის ხობის რაიონული ორგანიზაციის კოორდინატორად დამტკიცდა ამავე აკადემიის აკადემიკოსი ვერა ქირია; ხოლო ხობის რაიონული ორგანიზაციის სწავლულ მდივნად დამტკიცებულიქნა აკადემიკოსი მურმან ბუკია.

„მეგრულისა და ქართულის მკვიდრობა და თანამოძმეობა, თუ კი მას ადამიანური მოდგმის ნათესაურ ჯრილში განვიხილავთ, ღვიძლი მიძაშვილობის, მიძაშვილ-მამიდაშვილობის, მიძაშვილ-დეიდაშვილობისა და დეიდათაშვილობის, საერთოდ კი, დიდედაშვილობის, ანუ დიდი დედაშვილობის ფარგლებში წარმოიდგინება, ჭეშმარიტადაც.

ასეთად წარმოიდგინება მთლიანად ქართველური ენები და ჩვენი საერთო ენა ქართული.

ქართველური ენებიდან მეგრულ-ჭანური, იგივე ჯოლხური, ანუ ზანური) ენის მეგრული დიალექტი ხასიათდება რიგი საინტერესო თავისებურებებით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

მეგრული დიალექტისათვის (მსგავსად ჭანურისა), საერთო ქართული ენისაგან განსხვავებით დამახასიათებელია დამატებით ორი მგერის არსებობა. ესენია: თანხმოვანი „ც“ და ნახევრადხმოვანი „გ“, რომლებიც აქვე წარმოდგენილი ასოებით გამოიხატებიან.

მეგრული დიალექტი განსაკუთრებით მდიდარია ზმნისწინებით. განსხვავებით ქართულისაგან, სადაც გვაქვს 15 ზმნისწინი (მათ შორის 8 მარცვი და 7 რთული), მეგრულში ზმისწინთა რაოდენობა აღწევს 60 ერთეულს. მათ შორის მარცვია 15 ზმნისწინი, დანარჩენი კი რთულ ზმნისწინებს წარმოადგენენ. გარდა ამისა, მეგრულის ნამყო და მყოფადი დროის ზმნებში ვლინდებიან მეორეული წარმოების ორმაგად რთული ზმნისწინები, რომლებიც ნახევრად ცრუ ზმნისწინებად წარმოგვიდგებიან. მათი რაოდენობა 20 ერთეულს შეადგენს. ამასთან, მეგრულის ნამყო და მყოფადი დროის ზმნებში ვლინდებიან, აგრეთვე, მეორეული წარმოების მარცვი და რთული ზმნისწინები, მათ შორის, მარცვი ცრუ და რთული ნახევრად ცრუ ზმნისწინები“.

მამანტი ძაძამია,
წიგნიდან „მეგრული დიალექტიკა“.
გვერდი მოამზადა მანანა შულაია

მერაბ სალაყაია:
„განსაცდელი ღვთისაგან ბოძებულია და სიხარულით შეიცვლება“

ბატონო მერაბ! წლებია თქვენი ცხოვრების წესით და სამსახურებრივი მდგომარეობით ცხოვრების შუაგულში ტრიალებთ. იყო ობლის კვერის „ცხობის“ პერიოდი, წარმატებები, პრობლემებიც, რას ეტყოდით მკითხველს?

–დავიბადე სოფელ ზემო ქვალონში 1957 წლის 6 ნოემბერს. ჩემი მშობლები ვაჟა სალაყაია და ფოთოლა კიტია ადრე წავიდნენ ამ ქვეყნიდან. მამა მეექვსე კლასში ყოფნისას, დედა კი ჩემი სკოლის დამთავრებისთანავე გარდაიცვალა. მე და ჩემი ძმა მევლუდი სულ პატარები ვიყავით, როცა მამა მძიმედ დაავადდა და თბილისში მკურნალობდა ჩვენს სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ყველაფერი ფერფლად იქცა. დედა იმ საღამოს მეზობლის ტანსაცმლით გაემგზავრა თბილისში ავადმყოფის სანახავად, დიდმა ადამიანებმა ყველაფერი იღონეს, რომ ჩვენი ოჯახი ღია ცის ქვეშ არ დარჩენილიყო და მამას უკანასკნელი დღეები საკუთარ ჭერქვეშ გაეტარებინა. ასე სიმწრით გაირიბნა დღეებმა... ობლის კვერის ცხობაც ძალიან ადრე დაიწყო...

დავამთავრე საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი სწავლული აგრონომის სპეციალობით, სხვადასხვა დროს ვმუშაობდი სატრაქტორო აგროგანყოფილების მმართველად, მთავარ აგრონომად. ხობის მეცხოველეობის გაერთიანების დირექტორად, ზემო ქვალონის მეურნეობის დირექტორად, ამავე სოფლის საკრებულოს თავმჯდომარედ. ხობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად და გამგებლის პირველ მოადგილედ. თერთმეტი წელი გახლდით რაიონის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ვიყავი საფეხბურთო კლუბ ხობის „კოლხეთის“ დირექტორი.

მყავს მეუღლე ნარგიზა გვათუა, შვილი ნათია, სიძე ლევან ქავთარაძე, უახლოეს მომავალში ველოდები შვილიშვილს.

თქვენი ცხოვრების რომელი პერიოდი იყო გამორჩეული და რას უკავშირებთ მას?

–ვფიქრობ, ცხოვრების თითქმის ყველა პერიოდი სხადასხვაგვარად გამორჩეული იყო. სიჭაბუკეში ვოცნებობდი ჩემი სპეციალობის მიხედვით ვყოფილვიყავი გამორჩეული და ერთი პატარა საწარმოს ხელმძღვანელი გამხდარვიყავი. მჯეროდა, რომ შრომას, გარჯას ადამიანისადმი ერთგულებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა და შედეგმაც არ დააყოვნა. კარგ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, რაც შემდეგ მოხდა.

ჩემს ოჯახს როცა ყველაზე მეტად უჭირდა, ჩემთან სახლში მოვიდა ჩემი თანასოფელი, ომის ვეტერანი, რაიონში ცნობილი პიროვნება, ცხონებული მიხეილ კვესელავა (ამჟამად საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ქალბატონ ლელა ადანაიას ბაბუა), მისი სიტყვები ახლაც ყურში ჩამესმის. ნუ გეშინია, მერაბ, სოფელი დიდია, არაფერი შეეშლება, ყველაფერი კარგად იქნება „შენ ჩვენს მეურნეობაში მმართველობა მოგელისო“. იმ დროსათვის სოფელში ფუნქციონირებდა მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მე ბატონი მიშას ნათქვამმა გამიმართლა, ერთი მეურნეობის მმართველობა კი არა, რვა წლის განმავლობაში რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი გახლდით.

სამჯერ მომეცა საშუალება, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რაიონში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატებისათვის ჩემი ხელმოწერით გადამეცა გამარჯვების ოქმი.

ერთი სიტყვით, მეამაყება ჩემს მიერ განვლილი გზა, მათ შორის ის „ბოლო გზაც“, რადგან თავისუფლება სხვისი უბედურებისა და სხვისი თავისუფლების ხარჯზე არ მომიპოვებია.

გაიხსენეთ ის ოჯახი და ხელმძღვანელები, რომლებმაც ხელი მოგიმართეს და გზაზე დაგაყენეს?

–ჩემი და ჩემი ძმის მევლუდის საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის სულმნათ შოთა სალაყაიას ოჯახს, მის შვილებს, განსაკუთრებით გვერდით მედგა ცხონებული თემურ სალაყაია (რომელიც ჩემი სიამაყე და დიდი ტკივილია). ასევე დიდია ბიძაჩემის ვაჟა კიტიას ღვაწლი. ვემადლიერები ჩემს დირექტორებს ნეტარხსენებულებს ჟორჟი ახალაიას, გრიშა სესქურიას, იური აბშილავას, რაიონის ყოფილ პრეფექტს თენგიზ ქაჯაიას, აგროსამრეწველო გაერთიანების ყოფილ თავმჯდომარეს დავით პაჭკორიას, ყოფილ გამგებლებს თემურ გერგაიასა და ანგული მიქავას.

ცუდ პერიოდში გიხდებოდათ მუშაობა, მაგრამ მაინც აღწევდით გარკვეულ წარმატებებს, როგორ ახერხებდით ამას?

–ყველა დროს ყავდა გამორჩეული ადამიანები, ვინც 2003 წლის რევოლუციამდე ხალხის სამსახურში მუშაობდნენ და დანაშაული არ ჩაუდენიათ, ისინი მართლაც, ქების ღირსნი არიან. ეს იყო წლები, როცა ახალი წლის წინა დღეს, 31 დეკემბერს საღამოს ექვსი საათის შემდეგ იწყებოდა ბანკიდან ფოსტის მუშაკებზე პენსიების გაცემა (7 ლარი) და ახალი წლის შემობრძანებას წუთები რომ აკლდა, იმ პერიოდში ჩადიოდა დანიშნულების ადგილას. გართულებული კრიმინოგენური მდგომარეობა, პედაგოგების თვეებით გაუცემელი ხელფასები ცხოვრების წესი გახდა, ხშირად თვითონ მასწავლებლები ასრულებდნენ საგადასახადო სამსახურების საქმიანობას, ვინ რამდენ გადასახადს ამოიღებდა, იმის შესაბამისად ეძლეოდა გაყინული ხელფასების ანაზღაურება. ამის ფონზე სოფლისა და რაიონის ხელმძღვანელების საქმიანობა ფასდებოდა რაიონში ამოღებული ელექტროენერგიისა და რაიონული ბიუჯეტის შესრულებით. ამის ფონზე ყოველწლიურად ურთულესი არჩევნები ე.ი შეუძლებლის გაკეთება გვიხდებოდა.

დღეს ყველაფერი კანონის ნორმის ფარგლებშია, შრომის ანაზღაურებაც მაღალია და, რა თქმა უნდა, მუშაობაც ადვილია.

თქვენ თერთმეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდით რაიონის საოლქო საარჩევნო კომისიას. ხომ არ გაიხსენებდით რაიმე მნიშვნელოვანს?

–თუმც ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ იმ მძიმე წლებშიც მე და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები მუდამ მართალი ვიყავით საკუთარი სინდისის წინაშე. ათი ურთულესი არჩევნების ჩატარება მოგვიხდა, თქვენც ხომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყავით. 20 ლარიანი კომისიის თავმჯდომარისა და 8 ლარიანი კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების ფასად ხდებოდა ეს ყველაფერი. რა „თამაშის წესები“ არსებობდა იმ დროისთვის, იმ წესით თამაშობდა ყველა კანდიდატი. ყველას ეძლეოდა საშუალება ამომრჩევლებთან შეხვედრისას თანაბარი პირობები ჰქონოდა. არასდროს გაგვითელია ფეხქვეშ ამომრჩევლის ნება.

რაც იმ თერთმეტი წლის განმავლობაში კომისიის თავმჯდომარედ მიმუშავია, კიდევ რომ მომეცეს აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის საშუალება, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც გამიკეთებია. ეხლა რას ამბობენ წარსულზე ურწმუნონი, ეს მათ სინდისზე იყოს, ხალხი ისტორიის შემოქმედია და ჩვენ ლაპარაკის უფლებას ვერავის ავუკრძალავთ.

დღესაც საოლქო საარჩევნო კომისიაში მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები მუშაობენ. ვიტყვი, რომ ისინი უფრო მაღალი თანამდებობების დაკავებასაც იმსახურებენ.

თუ არ ვცდები, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის იხდიდით სასჯელს... თვლით, რომ სამართლიანად დაისაჯეთ?

–მე არასოდეს დავმალავ, რომ სასჯელი მოვიხადე. თუ სწორად გამიგებთ, იმ წლებმაც ბევრი რამ შემძინა... საქმე იმაში იყო, რომ მე გახლდით რაიონში მიწების იჯარით გამცემი კომისიის თავმჯდომარე. დავუშვი გარკვეული შეცდომა. ისე წარვადგინე გამგეობის სხდომაზე იჯარით მიწების გაცემის დადგენილებების პროექტი, რომ არ მქონდა კონკურსი გამოცხადებული, რითაც დამიმტკიცეს თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ისე, აღნიშნული ქმედებებს რაიონის ეკონომიკისათვის ზიანი არ მოუტანია, პირიქით, იჯარიდან რაიონის ბიუჯეტში სოლიდური თანხები შემოდიოდა, რაც იმ პერიოდისათვის ერთადერთი საშუალება იყო განათლების, კულტურის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის. მე ვაღიარე, რომ დაშვებული მქონდა გარკვეული შეცდომა, მაგრამ ნაწყენი ვარ იმიტომ, რომ რაც არ მქონდა ის თანხა ჯარიმის სახით გადამახდევინეს.

ამჟამად ახალი ხელისუფლების პირობებში, როგორც ამბობენ, არის იმის საშუალება, დაამტკიცოთ თქვენი უდანაშაულობა და მოითხოვოთ რეაბილიტაცია, რას ფიქრობთ ამაზე?

–ამას დღეს არ გავაკეთებ. მანამდე არ გამიპროტესტებია აღნიშნული საკითხი, რადგან ჩემს ქმედებებში იყო დანაშაულის ნიშნები. ქვეყნის სულიერი მამა ბრძანებს: განსაცდელი ღვთისაგან ბოძებულია და სიხარულთ შეიცვლებაო, ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები.

ბატონო მერაბ, რამდენადაც ვიცი თქვენ უკვე თავისუფალი ხართ, დაგიმთავრდათ პირობითი მსჯავრის ვადა?

–მე ყოველთვის თავისუფალი ვიყავი, დღესაც თავისუფალი ვარ, ოფიციალურად დაახლოებით ერთი წელია მომიხსნეს ნასამართლეობაც.

ბევრს უკვირდა, სასჯელიდან განთავისუფლების შემდეგ თქვენ პრეზიდენტის არჩევნების ქალაქის შტაბს რომ ხელმძღვანელობდით.

–ჩვენი დაპატიმრების პერიოდში რაიონში შესუსტებული მმართველობა იყო. იმ პერიოდისათვის არავინ დარჩა საკუთარ თავზე აეღო პასუხისმგებლობა განვერიდებინეთ დაპატიმრებას, ისე გამოვიდა, თითქოს ვინც გაგვხადა, იმან ჩაგვაცვა. იმ პერიოდისთვის რაიონში სხვადასხვა სფეროებში გრძელდებოდა ხელმძღვანელების დაპატიმრებები და ბევრი ჩვენი საერთო მეგობარი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ბევრმა დაკითხვის შემდეგ იქვე დაიწყო „მუშაობა“... ზოგიერთმა არც კი იცოდა რა გზას დასდგომოდა. უფრო მეტიც, მე როგორც არჩევნებში ჩახედული პიროვნება, ვამჩნევდი ირგვლივ ოპოზიციურად განწყობილ ძალებში გამონაკლისის გარდა „გაყიდული“ იყო.

როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მართალია არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, ხელისუფლება არჩევნების გზით ჩაიბარა ოპოზიციამ, მაგრამ ხომ არ გეჩვენებათ, რომ რეალობა სხვაა. უმცირესობა და უმრავლესობა შეთანხმებულად ვერ მოქმედებენ. თქვენ რას იტყვით ამაზე?

–მე როგორც ამ არჩევნებშიც ქალაქის შტაბის უფროსი, დღემდე ვერ გამირკვევია რა მოხდა. თუ ხობის მუნიციპალიტეტში ხელისუფლებამ 57% აიღო, რომ არჩევნების მიმდინარეობისას ერთი საჩივარი არ დაწერილა, რა მოხდა სხვა მუნიციპალიტეტებში, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყანა დამშვიდდება, ოპოზიციაც და უმრავლესობაც შეთანხმებულად გააგრძელებენ ქვეყნის მიერ აღებული კურსის განვითარებას.

ბატონო მერაბ, ახლა, როცა სამართალდამცავი ორგანოების, საზოგადოების და მედიის ყურადღება მიპყრობილია დაკავებების ფაქტზე, რას ფიქრობთ, იმ ინფორმაციით რაც საზოგადოების მიეწოდება, არის თუ არა სასამართლო თავისუფალი, ან თქვენს შემთხვევაში დღევანდელი პერიოდი რომ ყოფილიყო, სასჯელს მაინც დაიმსახურებდით?

–მე ვერ შევუდგები უმაღლესი თანამდებობების პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივ შეფასებას, ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი სასამართლოების დამოუკიდებლობაზე. სასამართლოები დამოუკიდებელნი რომ არ იყვნენ, ამას ჩემი დამტკიცება არ სჭირდება. მახსენდება ერთი ჩემი მეგობრის სასამართლო პროცესი, სადაც განსასჯელს იცავდა ახალგაზრდა ადვოკატი დავით პაპავა, ადვოკატმა საქმეში არსებული მტკიცებულებები თავდაყირა დააყენა. ბრალდების მხარის მოთხოვნას 10 წლიანი პატიმრობის შესახებ, სასამართლომ მხოლოდ სამი თვე ჩამოაკლო და მთლიანად ძალაში დატოვა ბრალდების მხარის მოთხოვნა. ეს ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი და განიცდიდა გარკვეულ ზეწოლას.

ყველა ხედავს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაზე მიმდინარეობს ზეწოლა, მავანნი ფიქრობენ, რომ ყველა უნდა გადადგეს, ამასობაში იჩაგრება ის ადამიანი, ვისაც მუდამ პატიოსნად უმუშავია (არ ვგულისხმობ ხობს, ღვთის წყალობით აქ სიმშვიდეა) თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?

–ყველა უნდა დაემორჩილოს კანონს მმართველობის და თვითმმართველობის შესახებ. ორგანულ კანონში ყველაფერი გაწერილია. არჩევითი ორგანოს მოქმედების ვადა და მუშაობის წესი. კეთილი ინებოს და ყველამ უნდა დაიცვას კანონი. რამდენადაც ვიცი, ადგილობრივი არჩევნები უნდა ჩატარდეს 2014 წელს.

ამასწინათ ერთად ვესწრებოდით საკრებულოს სხდომას. თვალი იმ დროს გამექცა თქვენსკენ, როცა მოვისმინეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატებმა ფრაქცია დატოვეს. მომეჩვენა, თითქოს რაღაცის თქმა გინდოდათ და მაინც გაჩუმდით. თუ საიდუმლო არ არის, გაახმოვანეთ, რა უნდა გეთქვათ?

–აღნიშნული ქმედების გამო იქვე მინდოდა მეთქვა და გამომეხატა ჩემი დამოკიდებულება. მაშინ ვიფიქრე, რომ რეგლამენტის შესაბამისად არ მქონდა შეკითხვის დასმის უფლება. ეს იყო ყოველივე, რაც თქვენც შეგიმჩნევიათ. შევახსენებ საკრებულოს იმ წევრებს, გაითვალისწინონ, რომ ისინი საკრებულოში შესულები არიან იმ ამომრჩევლების მხარდაჭერით, რომლებმაც ნაციონალურ მოძრაობას მისცეს ხმა (ეს არ ეხება მაჟორიტარ დეპუტატებს), რაც შეეხება საარჩევნო შტაბის საქმიანობას, იმ დროისთვის ჩემს თანამოაზრეებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მივიღე ამ ადამიანების არჩევაში (მხედველობაში მაქვს პარტიული სიით გასული დეპუტატები). მე მათ ვურჩევდი, საერთოდ დაეტოვებინათ საკრებულოს წევრობა, საშუალება მისცენ სიაში ქვევით მდგომ საკრებულოს წევრობის კანდიდატებს, რომ საკრებულოს წევრები გახდნენ. ისე კიდევ ერთხელ ვურჩევ ამ ადამიანებს, მეტი იფიქრონ. ადამიანი ფიქრისთვის გააჩინაო განგებამ,–ბრძანებს დათა თუთაშხია.

მოსალოდნელ არჩევნებზე ხომ არ აპირებთ თქვენი კანდიდატურის წამოწევას?

–დაახლოებით 20 წელია ჩემი მეგობრების მიერ მიღებულ ხმებს ვითვლი, ნამდვილად არ ვაპირებ სიცოცხლის ბოლომდე ამის გაგრძელებას. არ გამოვრიცხავ, რომ ერთ-ერთ სოფელში ან ქალაქში არჩევნებში მონაწილეობა მივიღო.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ყოველივე იმის შემდეგ რაც გადაიტანეთ, მიტევება შეგიძლიათ?

–მიტევება ჩემი ცხოვრების წესია, ერთ შემთხვევას მოგიყვებით. 6 წლის ვიყავი, როცა ჩემს სოფელში (ზემო ქვალონი) საზარელი მკვლელობა მოხდა. მამაჩემის ბიძა იქვე მცხოვრებმა მეზობელმა უმიზეზოდ მოკლა, რა თქმა უნდა, ამის გამო ჩვენი ოჯახები სამუდამოდ დასცილდნენ ერთმანეთს, გავიდა დრო. იმ ოჯახის ქალიშვილი, რომელიც შემთხვევიდან 20 წლის შემდეგ დაიბადა, ჩემთან მუშაობდა სოფლის საკრებულოში. საუბარია მაცაცო ჭანტურიაზე, სამსახურმა ისე დაგვაკავშირა, ერთმანეთის მეგობრები გავხდით, როცა მან ოჯახი შექმნა, მისივე თხოვნით მისი პირველი შვილის ნათლია გავხდი. მიუხედავად ყველაფრისა, მართალია დრომ ის ტკივილი ვერ წაიღო, მაგრამ მოიტანა სიყვარული, სითბო და რაც მთავარია, მიტევების სურვილი. ამის ფონზე ყველასთვის ნაპატიები მაქვს ყველაფერი. გაჭირვებული კაცისთვის ზევიდან არასოდეს დამიხედავს, მიუხედავად ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობისა, სხვის საქმეში ცუდად არასდროს ჩავრეულვარ.

თვისება, რომლითაც უნდა გამოირჩეოდეს ადამიანი?

–კაცი არ უნდა იყოს შურიანი და ღვარძლიანი. თუ ადამიანს ეტყვი ჩემი მეგობარი ხარო, მის სახლში კაცურად უნდა მიგესვლებოდეს. ამისათვის ადამიანი მარტო თვალებით კი არ უნდა იხედებოდეს, არამედ გულით და სუფთა, კამკამა სული უნდა ჰქონდეს.

რას ელით მომავლისაგან?

–ჩემი ქვეყანა გამთლიანდება და გაერთიანდება, ყველანი ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრებთ, სადაც არ შეილახება ადამიანის უფლებები, მოსამართლე დამოუკიდებელი იქნება და მხოლოდ კანონს დაემორჩილება. ყველა არასწორი კაცი მალევე ჩაიმუხლებს. ჩვენი ოჯახები გამრავლდება და ხვალ უფრო მრავლარიცხოვანი ვიქნებით...

ესაუბრა
მერი ლაგვილავა

განათლება

ყოველდღიურომა სკოლებმა სიახლეებმა სთავაზომს

საქართველოში თითქმის ყველა ოჯახს ყავს ბავშვი. შვილის აღზრდა, მისთვის მაღალი დონის განათლების მიცემა, პატიოსანი, წესიერი პიროვნების ჩამოყალიბება თითოეული ოჯახის მთავარი საზრუნავია. აქედან ჩანს, რაოდენ

მნიშვნელოვანია თითოეული ოჯახისთვის საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე მოვლენები.

სულ ერთი წელია ესტატე შუშანიას სახელობის პირველი მაისის საჯარო სკოლას ვხელმძღვანელობ. ამ ხნის მანძილზე გარკვეული ხედვა ჩამომიყალიბდა საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ავ-კარგიანობაზე, რომელსაც შეძლებისდაგვარად გიზიარებთ.

პირად მაგალითზე მინდა გითხრათ, დადებითი მოვლენაა, როცა საქართველოს მოქალაქე გამოცდის ჩაბარებით იკავებს ამა თუ იმ სკოლის დირექტორის ვაკანტურ ადგილს.

ვთვლი, რომ მიმდინარე რეფორმებში განსაკუთრებულად პოზიტიური მოვლენა იყო კომპიუტერების გამოყენებით სკოლებში საატესტაციო გამოცდების შემოღება.

2011–2012 სასწავლო წლის მანძილზე თვალშისაცემი იყო მოსწავლეთა უმრავლესობის, განსაკუთრებით კი მეთორმეტე კლასელთა, ცოდნისაკენ სწრაფვა. შედეგად–საატესტაციო გამოცდებზე პირველი მაისის საჯარო სკოლიდან არავინ ჩაჭრილა, ხოლო საატესტატო გამოცდების მიხედვით, ექვსი საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლედან ექვსივემ წარმატებით გადალახა ეროვნული გამოცდების ბარიერი. მათ შორის ორმა, გიორგი იოსავამ და თამარ ბოლქვაძემ 50 პროცენტიანი გრანტი მოიპოვეს.

განათლების სისტემის საკანონმდებლო ბაზა გარკვეულწილად შეიცვალა ამ მიმართულებით შეუძლებელია, არ აღინიშნოს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიღება; „ეროვნული სასწავლო გეგმის“ შემოღება. ამ კანონების შემოღებით სასწავლო პროცესში არსებული ქაოსი და არასტაბილურობა გეგმიურმა, მიზანმიმართულმა მუშაობამ შეცვალა. ხარვეზები შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ამ კუთხით კანონმდებლობის დახვეწა და შემდგომი სრულყოფა სასურველია.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკოლებში ვაუჩერული დაფინანსების შემოღებაც, თუმცა დღემდე სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფ სკოლებში ფინანსების მართვა არაერთგვაროვან ხასიათს ატარებს. მართალია, სამინისტროსა და რესურსცენტრების ძალისხმევით, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელშეწყობით არაერთი პროექტი განხორციელდა, მაგრამ მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ფინანსების თვალსაზრისით, სკოლებში არათანაბარი მდგომარეობა თვალშისაცემია. ალბათ ძნელია ისეთი კრიტერიუმების მოფიქრება, რომელიც საქართველოს ყველა სკოლაზე იქნება მორგებული. კარგი იქნებოდა, სკოლას თავისი პრობლემა, რომელიც მხოლოდ მისია და სპეციფიკური გადაჭრის გზას ითხოვს, შინაგანაწესით–საკანონმდებლო ბაზაზე დაყრდნობით, გადაეწყვიტა. ამასთან, სასურველია, სამინისტრო თითოეულ სკოლაზე დაკვირვებით სკოლებს ტაქტიკური თუ სტრატეგიული გეგმების განხორციელებაში სათითაოდ დაეხმაროს...

მანდატურების საკითხთან დაკავშირებით დიდი პოლემიკები იმართება. ვთვლი, რომ სოფლის სკოლები არ საჭიროებენ მანდატურის მომსახურებას. ჩემი სკოლის მაგალითზე მინდა გითხრათ, რომ მას დამოუკიდებლად შეუძლია იმ პრობლემების მოგვარება, რომლის წინაშეც დგანან დიდი ქალაქის საჯარო სკოლები...

მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი მოტივაციის თვალსაზრისით მიმაჩნია, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი დადებითი მოვლენაა...

პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგებიც ჩართულნი არიან ამ პროცესში და წარმატებითაც! სკოლას ყავს ხუთი სერთიფიცირებული მასწავლებელი: ნინო ცხადაია, ნინელი ხუხია, ნინო კვიკვინია, ბელა ლაგვილავა და ლალი ფეტელავა. აღსანიშნავია, რომ ქალბატონებმა ბელამ და ლალიმ წარმატებით ჩააბარეს ინგლისურისა და კომპიუტერების ინტეგრირებული გამოცდებიც და ხელფასზე 200–ლარიან დანამატს ღებულობენ.

სასურველია, პედაგოგებისა და სკოლის დირექციის ხელფასებიც იყოს გაცილებით მაღალი, ვიდრე ეს დღესაა!

უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებით, ჩემი და მოსწავლეთა მშობლების აზრი ერთმანეთს ემთხვევა. სასურველია, პირველკლასელები მხოლოდ მშობლიურ ენას ეუფლებოდნენ, პირველი უცხო ენის სწავლება მეორე კლასიდან, ხოლო მეორე უცხო ენის–მეხუთე კლასიდან იყოს შესაძლებელი.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩასატარებელ გამოსაშვებ გამოცდების ფორმატთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება სკოლებმა თავად უნდა მიიღონ. ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი მაისის საჯარო სკოლამ საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიიღო. რვავე საგანის–მშობლიური ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, უცხო ენასა და ისტორიას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიასა და გეოგრაფიას მოსწავლეები 2013 წლის მაისში ჩააბარებენ.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების სკოლაში ჩატარების შესახებ ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია. მთავარია, ობიექტურად, კეთილსინდისიერად ჩატარდეს გამოცდები და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს სად ჩატარდება!

ვთვლი, რომ ყველა რეფორმა, რომელიც დღემდე განხორციელდა, იყო აუცილებელი, ზოგიერთი მათგანი საჭიროებს დახვეწას და სრულყოფას. სამყაროში არ არსებობს აბსოლუტური, ყველაფრის გამმართლებელი სქემა. ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს ამ ქვეყნის ტრადიციასთან, მის მენტალობასთან, კონკრეტულ მიზნებზე მორგებული კანონმდებლობა და სისტემა!

განათლების სისტემაზე თავისებური ხედვა ამ სფეროში მოღვაწე ყველა ადამიანს გააჩნია. ყოველდღიურობა სკოლებს სიახლეებს თავაზობს, რასაც თითოეული სკოლა ფეხს უწყობს და იზიარებს, ზოგჯერ მცირედი შენიშვნებით.

განათლების სფეროს ამჟამად ახალი მინისტრი ჰყავს, რომელიც ერთი შეხედვით თავისუფლებისმოყვარე, გულწრფელი ადამიანია. საინტერესო იდეებითაა გულანთებული. ერთია–ჩანაფიქრი, მეორე კი–მისი განხორციელება!

ყოველ კეთილსინდისიერ ადამიანს და მათ შორის ჩვენს ახალ მინისტრსაც ვუსურვებ საკეთილდღეო იდეების სრულყოფილად განხორციელებას.

კობა კვიკვინია,
ესტატე შუშანიას სახელობის პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორი.

ხობის „კოლხეთის“ მორიგი გამარჯვება

ქ. ხობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საქართველოს XXV ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურის მატჩი, სადაც ერთმანეთს პირველი ლიგის გუნდები, ხობის „კოლხეთი“ და ბათუმის „ადელი“ დაუპირისპირდნენ. თამაში მასპინძელთა გუნდის გამარჯვებით – 4:2 დასრულდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სასწავლო ოლიმპიადა დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2009 წლიდან გამოცდების ეროვნული ცენტრი ყოველწლიურად საგანში ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადას ატარებს ყველა.

ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 3 ნოემბერს დაიწყო და 18 ნოემბერს დასრულდება ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტური.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ხობელი სპორტსმენი I ხარისხის დიპლომითა და ლეპტოპით დაჯილდოვდა

თბილისის ზღვაზე საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციისა და კომპანია „ჰაიდელბერგცემენტის“ ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა პირველი მასშტაბური ნახევარმარათონი, რომელშიც 500-მდე მოყვარული და პროფესიონალი მძლეოსანი მონაწილეობდა. ნახევარმარათონში წარმატებით იასპარეზა „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ სასპორტო სკოლის მძლეოსნობის ჯგუფის მოსწავლემ ჯიმშერ ბუკიამ და 5-კილომეტრიან დისტანციაზე პირველ ადგილს დაეუფლა. ხობელი სპორტსმენი დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომითა და ლეპტოპით.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ხობში რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესებისპროექტის საჯარო განხილვა გაიმართა

5 ნოემბერს, ხობის მუნიციპალიტეტის, გამგეობის სააქტო დარბაზში გაიმართა 220/110 კვტ ქვესადგური „ხორგას“ მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტის საჯარო განხილვა.

რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება „ენგურის“ ჰიდროელექტროსადგურში ნაწარმოები ელექტროენერგიის სტაბილური გადაცემა საქართველოს დასავლეთ რეგიონში. საბოლოოდ, „ხორგას“ ქვესადგური დაგეგმილ 500/220 კვ ქვესადგურს „ჯვარი“ ორჯაჭვა 220 კვტ გადამცემი ხაზის მეშვეობით მიუერთდება.

შეხვედრას ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულები და გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაცია

ხობელი სპორტსმენის მორიგი წარმატება კარატეში

ქ. თბილისში გაიმართა მერვე საერთაშორისო ღია ტურნირი კარატე- დოში.

ტურნირში 14-15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, 57 კგ წონით კატეგორიაში, წარმატებული ასპარეზობის შედეგად ხობელი გოგა კორტავა (მთავარი მწვრთნელი ბ. სულამანიძე) მეორე ადგილის მფლობელი გახდა.

ღონისძიება საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა. გამარჯვებულები მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაცია

მოკრძალებული ქალბატონი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, თითოეული ხობელისათვის კარგად ნაცნობი ნარგიზა ტუღუში, უკვე ოცდაათი წელიწადია ხობის №2 საბავშვო ბაგა-ბაღ „წითელქუდას“ სათავეში უდგას. ოცდაათი წელიწადი საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, საზოგადოებაში შენი წილი დამსახურება მოიპოვო. მან მოიპოვა თავისი წილი დამსახურებაც და სიყვარულიც. ბევრჯერ უსამართლობაც იწვნია, მაგრამ არ შეშინდა, პირიქით, კიდევ უფრო მეტი შემართებით აგრძელებდა თავის საქმიანობას, რამეთუ როგორც თავად ამბობს: მას, ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სათუთი, ყველაზე ლამაზი, მიამიტ ადამიანებზე, პატარებზე ზრუნვა ავალია.

თუ რას ფიქრობს ქალბატონი ნარგიზა ბაღში მიმდინარე პროცესებზე, მის კოლექტივზე და სხვა საინტერესო თემებზე, ჩვენს ინტერვიუში შეიტყობთ.

ქალბატონო ნარგიზა, ხობელები თქვენ და თქვენს ოჯახს კარგად იცნობენ. მაგრამ მაინც არის ის, რაც ხალხმა არ იცის, მოგვიყევით თქვენს შესახებ...

–მოგეხსენებათ, რომ დიდი ცნობადი პიროვნება არ გახლავართ, ვარ ერთი რიგითი ხობელი და წლებია ვემსახურები ერთ საქმეს, რასაც ბავშვის აღზრდა ჰქვია. დავიბადე და გავიზარდე ქ. ბათუმში. დავამთავრე ბათუმის №23 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე. სწავლა თბილისში ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე განვაგრძე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დღემდე ხობში ვცხოვრობ.

ქალისათვის უპირველესი საზრუნავი ოჯახი და შვილებია...

–გეთანხმებით, ჩემი ოჯახი არც ძალიან დიდია და არც ძალიან პატარა. მეუღლე ედიშერ წურწუმია ჩემი თანაკურსელია. მყავს ორი შვილი ლაშა და ილია, რძალი მარიკა საჯაია, შვილიშვილები შოთა და ანასტასია. ოჯახის უფროსი ზინა წულაია თითოეული ხობელისათვის ცნობილი ქალბატონი, დამსახურებული პედაგოგი, წლების განმავლობაში ხობის №1 საშუალო სკოლაში მუშაობდა, დღესაც გამორჩეული გონებითა და აზროვნებით განაგრძობს ცხოვრებას. ცოლ-ქმრის უღელი ტოლიაო უთქვამს აკაკი წერეთელს–და ჩვენც ერთ უღელში შებმულები ერთნაირად ვიზიარებთ ოჯახის ჭირვარამსა და სიხარულს.

შეიძლება ამ შეკითხვის დასმით ცუდი მოგონებები აღგიძრათ, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლი, თქვენი შვილის ილია წურწუმიას უკანონო დაპატიმრებაზე მინდა გკითხოთ...

–ჩემი შვილი ილია წურწუმია, ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც უკვე ყოფილმა ხელისუფლებამ უკანონოდ დააპატიმრა და აწამა. მას პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევის მუხლით 3 წელი და 5000 ლარი ჯარიმა მიუსაჯა. 2,6 წელში მან 6 ციხე მოიარა. ექვს თვეში ცემა და წამება გამოიარა და ეს იმისათვის, რომ მან ბრალდება არ აღიარა. სასამართლო პროცესზე მან მათ უთხრა: მე თქვენ მებრალებითო. მან იცოდა, რომ მას აუცილებლად დააპატიმრებდნენ იმიტომ, რომ ის მონაწილეობდა 2007 წლის ნოემბრის აქციებში ხობის სასამართლოს წინ მოწყობილ აქციაში და საერთოდ ვერ ეგუებოდა უსამართლობას. მან 10 ნოემბერს დისკიც კი ჩაწერა, სადაც ბოდიშს მიხდიდა იმისათვის, რომ ჩემი თხოვნა–ეღიარებინა ცრუ ბრალდება, არ შეასრულა. 13 ნოემბერს მართლაც დააპატიმრეს. 2,6 თვეში კი ასევე მოულოდნელად გაანთავისუფლეს. მას არც შეწყალება უთხოვია და არც ეგრეთ წოდებული უდო. ეტყობა არასასურველი პატიმარი იყო. მან ამ ხნის მანძილზე დაახლოებით 15-ჯერ იშიმშილა. განთავისუფლების მეორე დღესვე ინტერვიუ მისცა ტელეკომპანია მაესტროს, სადაც ციხის სისასტიკე და რეჟიმი ამხილა. 2010 წლის ზაფხულში კი ხობის ცენტრში კულტურის სახლის ფოიეში, ორმოცგრადუსიან სიცხეში 13 დღე იშიმშილა, ამით სოლიდარობა გამოუცხადა თავის თანასაკნელებს, რომლებსაც თავისუფლებაში მყოფი ვერაფრით შველოდა. ალბათ პირველი შემთხვევა იყო ხობის ისტორიაში, მოშიმშილე–ყოფილი პატიმარი–ამ ამბით კი არცერთი ჟურნალისტი არ დაინტერესებულა და ერთი წინადადებაც არ დაწერილა ხობის გაზეთში, თუნდაც ფაქტის სახით. ეს ნათელი მაგალითი იყო ყოფილი მთავრობის „დემოკრატიული“ სისტემისა. ბოდიშს გიხდი ნინო, ძალიან გამიგრძელდა ამ კითხვაზე პასუხი, მაგრამ ეს ჩემთვის და მთელი ოჯახისთვის დიდი ფიზიკური და სულიერი ტრავმა იყო. ამ ტრავმის გაგრძელება იყო 26 მაისიც, რომლის უშუალო მონაწილეებიც იყვნენ ჩემი ოჯახის წევრები.

ქალბატონო ნარგიზა როგორც აღნიშნეთ, თქვენ და თქვენი მეუღლე კურსელები იყავით, მიუხედავად იმისა, რომ ხობელი არ ბრძანდებით, რა შეგმატათ ხობელობამ და რა პარალელებს გაავლებდით წლების წინანდელ და დღევანდელ ხობს შორის?

–ყოველთვის მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ერთ-ერთი რიგითი ხობელი ვარ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ხობში უფრო მეტი წლებია ვცხოვრობ, ვიდრე ერთად აღებული სხვა ქალაქებში. რაც მთავარია ხობში ოჯახი მყავს, ნათესავები და სამეგობრო წრე, საყვარელი საქმე მაქვს, სადაც მაქსიმალურად ვიხარჯები. წლების წინანდელ და ახლანდელ ხობს შორის არის განსხვავება, ბრმა უნდა იყო ეს, რომ არ დაინახო. ჩემი ხობში ჩამოსვლის დროს ხობი ერთი ნაცრისფერი დაბა იყო, მისი არსებობა ბევრმა არც კი იცოდა, დღეს კი ის ერთ-ერთი ლამაზი ქალაქია.

როგორც ვიცი, თქვენ თავდაპირველად ხობის №1 საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად მუშაობდით, იმ პერიოდს როგორ გაიხსენებდით?

–საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი 22 წლის, მახსოვს მომცეს საათები მე-11 კლასში და მათი დამრიგებელიც ვიყავი, დიდად არც კი განვსხვავდებოდი ჩემი მოსწავლეებისაგან.

მოვხვდი შესანიშნავ კოლექტივში, მათგან ძალიან ბევრი ვისწავლე, რაც შემდეგ ძალიან გამომადგა ჩემს კოლექტივში და ჩემს საქმიანობაში. სიტყვა სანახევროდ ეკუთვნის მას, ვინც ლაპარაკობს, სანახევროდ კი მას ვინც ისმენს“ მე კი ვისმენდი და ვიმახსოვრებდი... და შემდეგ ჩემს სასარგებლოდ ვიყენებდი.

თქვენ და თქვენი ამჟამინდელი სამსახური?

–ძალიან მიყვარს ჩემი სამსახური. უკვე გარკვეული წლებია, რაც საბავშვო ბაგა-ბაღში ვმუშაობ. ადრეულ წლებში სხვა თანამდებობებზეც მქონია შემოთავაზება, მაგრამ რატომღაც ჩემი ადგილი აქ, ბაღში ვიპოვე. ვფიქრობ, დამეთანხმებით ალბათ იმაშიც, რომ ამ თანამდებობაზე მუშაობა მეტად საპასუხისმგებლოა, ისევე როგორც თითოეული ჩემი თანამშრომლისა.

რადგან თანამშრომლები ახსენეთ, მინდა შეგეკითხოთ, წარმატების მიღწევა კარგი კოლექტივის გარეშე შეუძლებელია, უდაოა, რომ ამაში გაგიმართლათ...

–თუ თქვენ ჩვენი მუშაობა წარმატებულად მიგაჩნიათ, ამისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. თქვენ, ჩვენი აღსაზრდელის მშობელი ბრძანდებით და კმაყოფილი ვარ ასეთი შეფასებისათვის. წარმატებას კოლექტივის გარეშე რა თქმა უნდა ვერ მივაღწევდი. ჩემი უპირველესი მიზანი მეგობრული კოლექტივის ჩამოყალიბება იყო და მე ეს შევძელი. აქ არ არის შური და გაუტანლობა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ერთ საქმეს ვემსახურებით, ვიხარჯებით მაქსიმალურად და შედეგსაც ვაღწევთ.

წარსულის გახსენება ადმიანში მოგონებებს აღძრავს ხოლმე, რა გამახსოვრდებათ თქვენი წარსულიდან, რამაც ყველაზე მეტად გული გატკინათ და გაგახარათ.

–ცხოვრება ის დღეები როდია, რომელიც წავიდა, არამედ ისინია, რომლებიც დაგვამახსოვრდა. დამახსოვრებით ბევრი კარგი მახსოვს და ბევრი გულსაც მტკენს. მაგრამ დაწვრილებით მათი გახსენება არ მინდა, რადგან ეს ბუნებრივია და ყველა ადამიანის თანმდევი პროცესია. ისე კი ყველაფერი მახსოვს, ოღონდ არ მინდა გავიხსენო, რადგან ბედიც და უბედობაც დროებითია, ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან.

როგორია ქალბატონი ნარგიზა ბებიას ამპლუაში?

–ვარ „გიჟი“ ბებია. ძალიან, ალბათ ყველზე მეტად მიყვარს შოთიკო და ანასტასია. ბებიის და შვილიშვილების ურთიერთობას რაღაც ამოუცნობი საიდუმლო ჰქონია. თუმცა, ამ ქვეყნად მათი სიყვარულის გარდა მოვალეობებიც არსებობს და მე ვიღებ ბებიობის მოვალეობას და ყველაფერს ვაკეთებ, რათა ჩემს შვილიშვილებს სითბო და სიყვარული არ მოვაკლო.

და ბოლოს, ქალბატონო ნარგიზა, კითხვა, რომელზეც გინდოდათ პასუხის გაცემა და მე არ დაგისვით...

–ყველაზე ძნელი საპასუხო ალბათ ეს კითხვაა, იმიტომ, რომ მე ამჟამად პასუხებზე ვიყავი მობილიზებული. პირველად ვარ რესპოდენტის ამპლუაში, თუმცა ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. გმადლობთ გახსენებისა და თანამშრომლობისათვის.

ესაუბრა
ნინო გერგაია.

ბევრს და უბედურებას დრეტავს...

გვწერენ

ეს ა როდის, თუ არა დღეს?!

ნინო, ჩემო პატარავ, დღეს გადავწყვიტე, ღია წერილი მომეწერა შენი ბაღის აღმზრდელებისათვის. მათ ჯარგად იციან შენი „მოუცლელი დედის“ ამბავი, როგორც ყოველთვის, ამ ზეიმზეც დავაგვიანე. დარბაზი სიხარულსა და ემოციებს ვერ მალავდა, მხიარული ჯამბაზები საცირკო ნომრებს ასრულებდნენ...

ცისარტყელას ფერებით დახუნძლული დარბაზი საცირკო არენას ჰგავდა. ქეთათოს, მაკაკოსა და ბომბორას გვერდით ჯამბაზები იდგნენ და თავიანთი მოძრაობებითა და სახუმარო ნომრებით ბავშვებსა თუ მშობლებში სიცილსა და ხარხარს იწვევდნენ.

გაგიკვირდებათ და მათ იუმორში და მხიარულებაში ბაღის საზრუნავი და ტკივილიც ჯარგად ჩანდა, თუმცა აღმზრდელები იმითაც კმაყოფილები და მადლიერები არიან, რომ მათ ჩვენთვის ყველაზე საყვარელი არსების, სათუთი და ფაქიზი ბავშვების აღზრდა ვანდეთ. პატარები მათთან ეუფლებიან ქცევის ნორმებს, უფროსების პატივისცემას, თანატოლების სიყვარულს, სწავლობენ ლექსებს, ზღაპრებს, ძერწვას, ხატვას... მათზე ზრუნვა გვაცოცხლებს და მათდამი პატივისცემით განგვაწყობს.

აბა როდის უნდა მეთქვა მათი სადიდებელი და სამადლობელი, თუ არა დღეს?

ჩემო პატარავ, შენს თანატოლებთან და აღმზრდელებთან ერთად გისურვებ, რომ არ გაგნელებოდეს მათთან ერთად ყოფნის სურვილი, იყავით მუდამ მხიარულები, კეთილები და დღეგრძელები.

ლამაზი ხვალინდელი დღის იმედი არ მოგშლოდეთ!

პატივისცემით ნინო და თამარის დედა ჯენეტი ბერაია.

იკაშკაშე ვარსკვლავად

ლაშა ჯაიანის ლექსები თანამედროვე ქართული პოეზიის იშვიათი ნიმუშებია. მასში იგრძნობა ქართველი კაცის ხასიათი, ბუნება და ნებისყოფა. ყოველი ლექსი ეხმიანება სიტყვაკაზმულ პოეზიას, როგორც დილით ამომავალი მზე მიესალმება დროებით მიტოვებულ კეკლუც ბუნებას, აფრქვევს სხივებს, რათა ახალი ძალა და ენერგია მიანიჭოს.

ბატონ ლაშას საოცრად თვითნაბადი პოეტური სამყარო აქვს. ყოველ სტრიქონს არამარტო თვალით, არამედ გულით უნდა შეხედო, რომ იგრძნო რითმების სიდიადე, მან კარგად იცის პოეზიის სიდიადე, მისი დანიშნულება სამშობლოსა და ერის წინაშე. რა კარგად აქვს ნათქვამი:

„პოეზია, როგორც ღმერთი,
როგორც გრძნობის მესია,
ყველა მიუსაფარისთვის
იდგა ვით ეკლესია.“

ქართველთა ლაშქარს ხომ ომის დროს წინ მიუძღოდა ჯვარგამოსახული დროშა. არ შეეცდები თუ ვიტყვი ამგვარი პოეტური ქმნილებანი ჩვენს ცნობიერებაში შემოდის, როგორც ახალი, თვითმყოფადი, ხელშესახები ფერწერული სურათები. მისი პოეტური სამყაროდან დანახული დღევანდელობა არ შეიძლება არ დაგამახსოვრდეს. მისი ყოველი სტროფის ტაეპიდან ახალი იდეები და აზრები არ ამოტივტივდეს გონებაში. ბატონმა ლაშამ კარგად იცის, რომ ქართველობა ყოველ ჩვენთაგანს ბევრს ავალებს, რათა წინაპართა ნაკვალევზე ღირსეულად იაროს, მის ყოველ ნაბიჯს მამულიშვილობა, ადამიანობა ახლდეს:

„საქართველოში მრუდე არის ყველა ბილიკი,
ამ ბილიკებში არ შეხვიდე და არ გასცურო...
დაგმე, სიცრუე, სიყალბე და ჭუჭყი, ქილიკი...
კაცი თუ გქვია კაცად დარჩი, ნუ კაცმაცუნობ!“

(„ილუზიას ვქმნით“)

მოვლენათა ხედვის მასშტაბურობით, იდუმალებათა ხედვის უნარით იგი თვითმყოფად მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული, აქაც არ შეეცდები თუ ვიტყვი, გაივლის წლები და იგი თანამედროვე, XXI საუკუნის ქართული პოეზიის დიდოსტატად მოგვევლინება, რის საფუძველს მაძლევს მისი ღვთითბოძებული ნიჭით გაცისკროვნებული პოეზიის იშვიათი მარგალიტები, რომელიც მას აპოვნინებს ღირსეულ და საპატიო ადგილს ქვეყნის, ერის სამსახურში. აკი თვითონ ამბობს:

„სამყარო ჩემი და ალბათ მრავლის
ჩასახვას შენსას დიდება, ყრმობა,
რომ პოეტი ვარ ალბათ მომავლის
ჯერ ვერ შეიტყვეს და არც მეტყობა“.

ჭეშმარიტად, ბატონო ლაშა!

P.S. მისი ლექსების წაკითხვისას მკითხველს ვაცნობებ, რომ ლაშა ჯაიანი ჩემი თანაკლასელის ზაირა ჯალაღონიასა და მისი ძვირფასი მეუღლის–გოგი ბუკიას შვილიშვილია. ამიტომ ვგულშემავტკივრობ პოეზიის მწვერვალზე ასასვლელ მის ყოველ ნაბიჯს.

ღმერთმა ხელი მოუმართოს.

საშა არჩაია.

* * *

არ მითხოვია, რომ მე გიყვარდეთ...
თავად მიყვარხართ, მე ესეც მყოფნის.
გადაიწერა ათასჯერ, თითქმის
ჩვეული კითხვა, ყოფნა არ ყოფნის...
და რადგან თავად ჩათვალეთ მორჩა,
რაც არც კი იყო, თუ დავფიქრდებით...
გაგახსენდებით თუკი ოდესღაც,
თუ გაიღიმებთ, ანუ მოცდებით...
დამეთანხმებით, რომ ეს ასეა...
იცით, არასდროს არ შევიცვლები,
სამყარო თქვენთვის ისე სავსეა
ვერ ვგრძნობ იმასაც, როგორ ვიცლები...
ცრემლია თითქოს ახლა ყოველი,
გული გაყინულ კლდის პირას ჩამოჰგავს...
თქვენგან მოვლენილ სიტყვას მოველი,
როგორც არტისტი თავის გამოსვლას...

* * *

გავყვები უხმოდ ფერდობზე აღმართს,
სოფლის ორღობეს, შარაგზას ვიწროს...
ახლად მსხმოიარ ვაშლსა თუ ატამს,
რომ გვთავაზობენ სიცოცხლეს, თითქოს...
გავხედავ დაწნულ ნალიის კარებს
და ოდას ნამდვილს, ჯერ კიდევ ქართულს,
გატეხილ ქვევრს და ცხენის დინჯ თვალებს
და ბალახს ქართან თამაშში გართულს...
გავხედავ ფაცხის კვამლსა თუ სითბოს,
ჩემი სოფელი, არც ისე დიდი...
ყოველ დღე უფრო მიპყრობს და მიხმობს
მეც დღეებს ვითვლი და მუდამ ვთვლიდი...
ვთვლიდი, რომ ფესვებს არ უნდა მოსწყდე
როგორც ფოთოლი ხეს რომ სცილდება...
ყველას სამშობლო ძლიერ ტკბილია,
მე ჩემის ქება არ მომწყინდება...
ვიცი, რას ფიქრობთ და ვიცი წავალ...
ამას მთხოვს სისხლი და ჩემი გული.
იქ, ყველაფერზე მომიწევს გარჯა,
იქ ყველაფერი იქნება რთული...
გავყვები ჩემი სოფლის ორღობეს,
გლეხი მერქმევა, მწყემსი და მუშა...
მსურს ოფლი ვღვარო, ტკბილი, ყოველდღე
ესაა რაც მსურს და მუდამ მსურდა...

უცნობი ელი

შემომაღამდა აივანზე... წვიმის ჩასუნთქვით,
ნესტიანი ფეთქავს ფილტვები...
შენით დავთვერი, ზეცა დავმეხე
სიყვარულს ვთქვი, რომ მიხვდები...
ჩამოქცეული, დახეულ ღრუბლებს არად
ვაგდებდი, არას ვკითხავდი.
მეგონა ჩემს თავს გავექცეოდი,
ფიქრებს ვძირავდი, მაინც მიყვარდი.
წითელი ღვინით გაბრუებულ თავს,
შენ მაინც ლანდად ეღობებოდი...
ვიცი, არ იცი, რომ მე მაკლიხარ...
არ ვიცი რისთვის გელოდებოდი...
ძველ სახლზე წვიმის წვეთები, კვალს და
სურნელს რომ ტოვებს...
ეს ღვინით თრობა, თავბრუსხვევა,
ვიცი რომ მიმატოვებს.
მაგრამ არა შენ, შენ მუდამ დამყვები
ამოუცნობო შორეთის ელი...
იქნება არც „ც“ ახარ, მე რისთვის გხედავ,
რატომ მოგელტვი ან რისთვის გელი?!
წვიმა წვეთებით შლის ასფალტზე უნიჭო
წარწერას „რატო“?!
ჩემთან ყველაფერი იყო, მათ შორის შენც
ჩემთვის ძვირფასო ერატო!..
შემომაღამდა აივანზე... წვიმის ჩასუნთქვით,
ნესტიანი ფეთქავს ფილტვები...
შენით დავთვერი, ზეცა დავმეხე, სიყვარულს
მაინც ვერ მიმიხვდები!..

ტანს ჭრელი კაბა გემოსა

ტანს ჭრელი კაბა გემოსა,
მსგავსო, მზის სხივის სადარო.
მთებში გაშლილო კოკორო,
სხვას აბა რას შეგადარო?!
ყინვით დაზაფრულს გადვურჩი,
ზამთარს ცივსა და გვემასა
და სილამაზე ღვთიური,
სუსხავს გულისა ცემასა.
სამყარო წაღმა დაბრუნდა,
თაფლის ფიჭისფერ თვალებით,
სიტურფე გამგებს უბოძვარ
გულუხვად, გულმოწყალებით...
ტანს ჭრელი კაბა გემოსა,
მსგავსო მზის სხივის სადარო.
მინდვრის პირველო ყვავილო
უტურფესს რას შეგადარო?

დაბნეული

კვლავ ეული,
დაბნეული,
ოცნებების
მაკრავს მძივი...
მე საუბარს
შეჩვეული
გადავგვარდი,
თურმე ვკივი...
კვლავ უცვლელი,
მოუცლელი,
არ გავყევი
არცერთ ნატვრას...
შეუცვლელი
სიამაყით
გულზედ ვიწვავ,
მწარე დამღას...
შენ მოხვედი...
მე კი გავქრი,
მძიმე არის
როლთა გაცვლა...
ჩემსკენ ქარიც
აღარ დაჰქრის...
სიყვარულის
ქარის გარდა...
მაინც მჯერა,
რომ ასე სჯობს...
ვიცი არ ვარ
მსგავსი სხვისა,
ალბათ დროა
უჩინრობის...
და ბუნების
გამოცვლისა...
კვლავ ეული
დაბნეული
მიყვარდება
უცხო ელი...
საშველია
უძრაობა...
ვიცი, მაგრამ
ვერას ვშველი...

* * *

ვზილე ტალახი,
ვთელე სამყარო,
და არსი, მისი,
ვერა გავიგე...
მიწავ და ჩემო
ძვალთშესალაგო
და ცაო, უფრო,
გთხოვ დამარიგე...
დავეხეტები,
როგორც
აჩრდილი,
ქარს აყოლილი
ნიავი, ბარის...
ყველაფერია
თითქოს გარშემო
და მაინც, ბოლოს,
არა რა, არის...

ბადრი ლომაია



* * *

დილის ნიავს მოყვებოდა,
„ოდოია“ შენი ხმა,
იღებოდა ბაბუს ოდა
მაღვიძებდა ჩემი ძმა.
მერე თოხებს ვიღებდით
პაწაწინა ხელებით,
რამდენ რამეს ვითმენდით,
მარტო შენი ხსენებით.
ახლა, როცა იმ ადგილას,
მარტოდ მარტო დავდივარ
გულით ვეძებ იმ წადილს
ახლაც თითქოს ბალღი ვარ.
ახლაც ისევ ფეხშიშველი
თითქოს დაგედევნები,
თუ მიშველი, შენ მიშველი,
თორემ მომსდევს მდევრები.
სადღაც გაკრთა სიჭაბუკე
ომახიან ყიჟინით,
დაუკარით დაფს და ბუკებს,
დრო არ დამრჩეს ქვითინის.
მინდა შენთან გავიჭრა
ამ უსიერ მუხებში,
ეს ხმა როგორ ჩამიქრა.
ან ვინ დამჭრა მუხლებში.
„ოდოია“ შენს სახელზე
ჟრუანტელი დამივლის,
შენ დიდი ხარ ყველა ღმერთზე
ყველა ღმერთზე დაღლილი!

მოვედი შენთან!

მოვედი შენთან, სული მოვითქვი წამით,
მოვწყდე ცხოვრების ტალღებს ბობოქარს,
ჩემი არსობის დილა სისხამი,
ვით მოსისხარი რისხვას გოლგოთას,
მოვედი შენთან, დევნილი ბედის,
მე ამ ცხოვრების ნაყაჩაღარი
მოძულებული კაცის და ღმერთის
ბოგანო, ვინმე მიუსაფარი.
მოვედი შენთან აღსავსე ძალით,
პანთეოსი ვარ მე შენი მკერდის,
მე ხომ არ მახსოვს ალერსი მამის,
და ტკბილი ნანა მშობელი დედის.
მოვედი შენთან და ნუ გამკიცხავ,
მიმიღე როგორც მგზავრი გვიანი,
მე შენს ნასისხლარს ნადაგ ნასისხლარს
ხმა მომაგებე ომახიანი.
მოვედი შენთან შენს სანაცვლოდ
მე შემიძლია დავთმო ყოველი,
შენ პაპიჩემის გარჯის ალამო,
ჩემი სულის ხარ სვეტიცხოველი.
მოვედი შენთან, რომ გეამბორო,
შენს ბებერ კედლებს ეულ ბერმუხას,
შენ შეავედრე უღმერთო ღმერთებს
ენგურის ტალღებს გასცდეს ემუხვარ...
მოვედი შენთან ამ შუა გზაზე
ნეტავ, რად შედგა ჩემი მერანი,
ჩემი ცხოვრების ეს სილამაზე,
სიტყვა უთქმელი, დაუწერელი.
მოვედი შენთან ჩემს სიჭაბუკეს,
ნუ დამიბრუნებ ვეღარ შევხვდები
ფეხქვეშ გათელილ იმ სიჩაუქეს,
ნუ მიმახედებ, მას გევედრები...
მოვედი შენთან რას ვიფიქრებდი,
თუ ასე მწარედ გამიმეტებდი,
თუმც არ მხვდებოდნენ მე შეზიზღებით,
ყველგან საშინლად ვიყავ ზედმეტი.
მოვედი შენთან დრო სუნთქვასავით
გარდასულა და სადღაც ჩამჯდარა,
ჩემი ბავშვობა შესაკურთხავი,
და ცოდვით სავსე ჩემი ჭაღარა.

სპორტი

მიშიკო იოსავას ყველა ხობელი კარგად იცნობდა... იცნობდა, როგორც წესიერ, ზრდილობიან, თბილ, მოსიყვარულე, ოჯახში აღზრდილ ვაჟკაცს. ის შემოქმედი ახალგაზრდა იყო, წერდა ლექსებს სხვადასხვა თემებზე მათ შორის სამშობლოს სიყვარულზე.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს

22 წლის იყო. უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ქონდა, ცხოვრების ახალ ასპარეზზე გასასვლელად ემზადებოდა, როდესაც შეიარაღებული ძალების რეზერვში გამოიძახეს, ისიც უყოყმანოდ დათანხმდა. ვერც მამამ ვერ დაიყოლია შინ დარჩენაზე, რომელიც ამ ფრაზით გააჩუმა: „ყველა ჩემი მეგობარი იქ არის და მე როგორ გამოვაკლდე, სამშობლო მეძახისო“ და წავიდა... დედამ საკუთარი ხელით ჩასვა ავტომობილში მამამ მიიყვანა სენაკის სამხედრო ბაზასათან. „სულ მალე მოვუღებთ ბოლოს მტერს, ვერ ხედავთ რა ლომები მივდივართო?!“ და დაემშვიდობა... თურმე სამუდამოდ... იმავე საღამოს საქართველოში შემოჭრილმა რუსულმა ბომბდამშენმა, იერიში სენაკის ბაზაზეც მიიტანა, რა დროსაც სამხედრო მანქანაში სხვა ბიჭებთან ერთად მიშიკოც ჩაცხრილეს.

გლოვის ზარმა მოიცვა ხობი. თითქოს ძმები ჩაიცვაო ქალაქმა... ჩვენს შორის აღარ იყვნენ გამორჩეული, პირტიტველა ბიჭები... მიშიკოს სიკვდილი ყველაზე ძნელი რა თქმა უნდა მისი ოჯახისთვის აღმოჩნდა. რამდენი ოცნება და ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი...

წავიდნენ ჩვენგან, მაგრამ დარჩა მათი უკვდავი სახელები საამაყოდ, ხოლო 8 აგვისტოს ომი ჩვენს მეხსიერებაში ყოველთვის დარჩება შავ ლაქად. თითოეული დაღუპული გმირი მუდამ გვემახსოვრება და სიყვარულითა და პატივისცემით მივაგებთ პატივს მათ ხსოვნას.

18 ნოემბერს, წელს უკვე მეხუთედ, აიღო სტარტი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული ხობელი რეზერვისტის მიხეილ იოსავას სახელობის ტურნირმა ბილიარდში, რომელიც ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა და საბილიარდო კლუბმა „ბასამ“ უმასპინძლა.

48 მობილიარდე ხუთი დღის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა. შეჯიბრი ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა. უმცროს ასაკში, რომლის ორგანიზატორი მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი იყო, 16 მობილიარდე მონაწილეობდა. პირველი ადგილის მფლობელი ოთარ კორტავა გახდა, მეორე ადგილზე ლუკა ლოლუა გავიდა, მესამე ადგილი ირაკლი კუჭავამ დაიკავა, ხოლო მეოთხე ადგილი ირაკლი ცხადაიას ხვდა წილად.

უფროს ასაკში, სადაც 32 მობილიარდე მონაწილეობდა, ტურნირი დაძაბულად წარიმართა, რის შედეგადაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები და ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი ადგილი თემურ წურწუმიამ მოიპოვა, მეორე ადგილის მფლობელი ტურნირის ორგზის გამარჯვებული გოჩა კიზირია გახდა, მესამე ადგილზე შარშანდელი ტურნირის გამარჯვებული კარლო ჩაჩიბაია გავიდა, ხოლო მეოთხე ადგილი წილად ლადო ალანიას ხვდა.

დასასრულს ტურნირის ყველა მონაწილე ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა. პირველ ადგილზე გასულ მოთამაშეს მიხეილ იოსავას სახელობის გარდამავალი თასი გადაეცა, მეორე და მესამე ადგილზე გასულები კი სტუმრებმა თასებით, სიგელებითა და მედლებით დააჯილდოეს.

შეჯიბრებაზე პრიზები და ფასიანი საჩუქრები დააწესეს ხობის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა გოდერძი ბუკიამ, რომელმაც მიშიკო იოსავას ოჯახს სპეციალური სამახსოვრო საჩუქარი გადასცა. ასევე პრიზები დააწესეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ, საკრებულოში ქ. ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა კახა ნადარაიამ, საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დირექტორმა ზურაბ ლატარიამ, კულტურის ცენტრის დირექტორმა ბეჟან ნადარაიამ, ხობის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა ქეთინო გაბისონიამ, ხობის №2 საჯარო სკოლის დირექტორმა ნანა ქვარაიამ, მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა ანტონ ვარდიამ, მიშიკოს მეგობრებმა, პრიზები დააწესეს ასევე გოგა გოგოლმა, ოთარ სახურიამ, თემურ წურწუმიამ, კოტე მხეიძემ, კოტე კეკუსანძემ, ლერი ბასილაიამ და მიშიკოს ოჯახმა.

დაჯილდოების ცერემონიალს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გოგა ღურწკაია, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ქალბატონი ჯულიეტა ქვარაია და მიშიკოს მამა ბატონი ბესიკ იოსავა უძღვებოდნენ.

შეჯიბრების დასასრულს მათ სიტყვით მიმართეს დამსწრე საზოგადოებას, მონაწილეებს, გამარჯვებულებს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მიშიკოსა და მასთან ერთად დაღუპული ვაჟკაცების ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს მიშიკოს საფლავი.

ტურნირი ტრადიციულად, მომავალ წელს, მიშიკოს დაბადების დღეზე კვლავ ჩატარდება!

ხსოვნისადმი პატივისცემით...

ნანა კემულარია

რამაზ კიტიას სახელობის თასზე

9-15 ნოემბერს, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, სოფელ ხურჩაში ტრაგიკულად დაღუპული პოლიციელის რამაზ კიტიას ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველობა ჩატარდა მინიფეხბურთში, სადაც ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წარმოება-დაწესებულებები იღებდნენ მონაწილეობას. შეჯიბრებაში 10 გუნდი იღებდა მონაწილეობას, რომლებიც ჯგუფებში 5-5-ად განთავსდნენ.

A ჯგუფში ასპარეზობდნენ „რესურსცენტრის,“ „ჯანდაცვის,“ „პოლიციის,“ საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ და „დასუფთავებისა და განათების“ გუნდები.

B ჯგუფში გამოდიოდნენ „შარაგზამშენი პირველი,“ „დაცვის პოლიციის,“ „გამგეობის,“ „სახანძრო-სამაშველო სამსახურისა“ და „საფეხბურთო სკოლის“ ფეხბურთელთა გუნდები.

დაძაბული მატჩების შემდეგ გამოვიდნენ ნახევარფინალისტები: A ჯგუფიდან ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისა“ და „რესურსცენტრის“ გუნდებმა, ხოლო B ჯგუფიდან „შარაგზამშენისა“ და „სახანძროს“ ფეხბურთელებმა. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „კოლხეთი“–„შარაგზამშენი პირველი“–„რესურსცენტრი.“ კოლხეთმა დაძაბულ ბრძოლაში 4:3 დაამარცხა „სახანძრო“ და ფინალში გავიდა. „შარაგზამშენის“ ფეხბურთელებმა კი რესურსცენტრის გუნდს 5:2 სძლიეს. მესამე ადგილისთვის მატჩში „რესურსცენტრის“ ფეხბურთელებმა დაამარცხეს „სახანძროს“ გუნდი და საპატიო მესამე ადგილი მოიპოვეს, რომელთაც მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ (რესურსცენტრის უფროსი ქალბატონი ხათუნა გერგაია, წარმომადგენელი მერაბ კიტია);

ფინალური მატჩი „შარაგზამშენსა“ და „კოლხეთს“ შორის თავიდანვე დაძაბულად წარიმართა, თუმცა შემდეგ აშკარად გამოიკვეთა „შარაგზამშენი პირველის“ უპირატესობა და მატჩიც მათივე გამარჯვებით 5:2 დამთავრდა. ამრიგად, მეორე ადგილი და მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი „კოლხეთის“ ფეხბურთელებს გადაეცათ (დირექტორი კობა კობახიძე);

ჩემპიონობისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით დაჯილდოვდნენ „შარაგზამშენი პირველის“ ფეხბურთელები, რომლებიც მართლაც ღირსეულად მოიპოვეს პირველი ადგილი (უფროსი გულადი ბერაია, წარმომადგენელი ზურაბ ლატარია);

ტურნირზე საუკეთესო ფეხბურთელებისათვის სხვადასხვა ნომინაციაში დაწესებული იყო პრიზები: საუკეთესო მეკარე გახდა იური ჯობავა (რესურსცენტრი); საუკეთესო მცველი–რამაზ ჯიშკარიანი (სახანძრო); საუკეთესო ნახევარმცველი–ანატოლ ჩარტია (რესურსცენტრი); საუკეთესო თავდამსხმელი–კალისტრატე ხურცილავა („კოლხეთი“); საუკეთესო ბომბარდირი 13 გატანილი გოლით გახდა როლანდ სერგია („კოლხეთი“); ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად აღიარეს ირაკლი სახურია („შარაგზამშენი პირველი“).

ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ მონაწილე გუნდებმა, ორგანიზატორებმა და გულშემატკივრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს რამაზ კიტიას ხსოვნას, რის შემდეგაც დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგა ღურწკაია, გამგებლის თანაშემწე პაპუნა ლემონჯავა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ანტონ ვარდია, საფეხბურთო სკოლის დირექტორი ზურაბ ლატარია, საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დირქტორის მოადგილე მერაბ სალაყაია, კლუბის წარმომადგენელი იური ჭანტურია და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ნანა ბუკია უძღვებოდნენ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოგა ღურწკაიამ მიმართა და გაიხსენა რამაზ კიტიას მიერ განვლილი გზა.

ლევან ლემონჯავა.

ლაშა თირქია

სულთათანა



ძმაო ლაშა! შენს ოჯახში 1 დეკემბერს უჩვეულო დილა გათენდა. პირველად შევხვდით ამ დღეს ცრემლით დანამული ყვავილებითა და სანთლებით.

დედის ლოცვას ცრემლები უსწრებს. 36 წელი შეგისრულდებოდა.

შენს დაბადების დღეზე ისლა დაგვრჩენია, ვუყუროთ შენს სურათებს, საიდანაც ღიმილი გადმოდის, შენი თვალებიდან კი–სითბო, მონატრება და ულევი სიყვარული. გვჯერა, იქაც ნაადრევად რჩეულებს უხმობენ.

მამიდაშვილებს გვენატრები, უზომოდ გვენატრები ჩვენო ერთადერთო ბიძაშვილო. ყველა დიდი სითბოთი და სიყვარულით გიხსენებს, ვერავინ გივიწყებს. მითუმეტეს შენზე თავგამოდებულმა დედამ, როგორ დაგივიწყოს დედისერთა ვაჟკაცი.

რამდენი აუხდენელი ოცნება დაგრჩა. ვაი, რომ შენს დაბადების დღეზე იუბილარის სავარძელი ცარიელია, კეთილი სურვილების ნაცვლად–შესანდობარი... შენს ნაცვლად გულში გაყინული ლოდი უნდა ჩავიხუტოთ, რაც ჩვენთვის ძალზე ძნელია.

ჩვენ ყვავილებსა და სანთელ-საკმეველს არ მოვაკლებთ შენს საფლავს, ვილოცებთ, ანთებულმა სანთელმა მარადისობისაკენ გზა გაგინათოს ძმაო ლაშა! ამ ქვეყნად სანთელი და იმ ქვეყნად ნათელი არ მოუშალოს ღმერთმა შენს სულს ჩვენო გაუნელებელო ტკივილო და დიდო სიყვარულო.

ეკა, ედიტა, ემა და ირაკლი ნანავები.

ჭადრაკის მომავალი დედოფალი?!.

ხობი პატარა ქალაქია, ყველა ერთმანეთს იცნობს, იციან ერთმანეთის ჭირიც და ლხინიც. ბევრი ოჯახი აქ განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი წევრები საზოგადოებაში ცნობილი, დაფასებული, წესიერი ადამიანები არიან, რომელთაც ეს წლების მანძილზე თავიანთი მოღვაწეობით დაამტკიცეს. ასეთ ოჯახთა შორის ხობში ერთ-ერთი მამუკა ლომაიას ოჯახია, ოჯახის ყველაზე პატარა წევრს, 7 წლის დიანა ლომაიას უკვე აქვს ჭადრაკში უდიდესი მიღწევები მიღებული, რაც მართლაც რომ მნიშვნელოვანია, ამით ჩვენ სრული საფუძველი გვექმნება დავასკვნათ, რომ ჩვენმა პატარა თანამემამულემ თავის ასაკთან შედარებით უკვე საკმაო წარმატებებს მიაღწია და სამომავლოდაც მისგან მხოლოდ წინსვლას და დიდ მიღწევებს უნდა ველოდოთ.

დიანა ხობის №2 საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეა. ჯერ ძალიან პატარაა, მაგრამ საოცრად გულთბილი, მოსიყვარულე და მეგობრულია, თანაც საუბრისას საკმაოდ კარგი მოსაუბრეც გამოდგა, რომელიც ჩემს მიერ დასმულ კითხვებზე ვრცლად, თამამად და სიამაყის გრძნობით მესაუბრა მის წარმატებებსა და სამომავლო გეგმებზე.

დიანა, გაგვეცანი–ვინ ხარ და საიდან მოდიხარ?

–მე ვარ დიანა ლომაია, 7 წლის. ძირით და ფესვით ხობელი.

მამა–მამუკა №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა. დედა–რუსიკო ჭითავა პროფესიით ფილოლოგია, მაგრამ ჩემს გამო მუშაობას ვერ ახერხებს. როცა ტურნირებზე მივდივარ, 9-10 დღით მიწევს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ყოფნა, რა დროსაც სკოლის პროგრამას დედის მეშვეობით ვინაზღაურებ. პარალელურად ჭადრაკის თამაშთან ერთად გაკვეთილებს ვსწავლობ.

მყავს ერთადერთი ძმა დიმიტრი, 12 წლის.

სწავლის გარდა, შენი უპირველესი გატაცება ალბათ ჭადრაკია, როდიდან დაიწყე და ვინ შეგაყვარა თამაში?

–ჩემი უპირველესი გატაცება სწავლის შემდეგ ჭადრაკია, თუმცა, ძალიან მიყვარს ცეკვაც და სიმღერაც. მაგრამ, რადგანაც ჭადრაკში ყოველდღე 3-4 საათი ვმეცადინეობ, ვერ ვახერხებ დავკავდე ხელოვნებით. ჩვენი ოჯახი ჭადრაკის მოყვარულია, მამა ჭადრაკს ბავშვობიდან თამაშობს, იგი მეორე თანრიგოსანია, ასევე მეორე თანრიგოსანია ჩემი ძმა დიმიტრიც.

ჭადრაკისადმი ჩემი ინტერესი და სიყვარული ოთხი წლის ასაკიდან ჩემი ძმის დამსახურებაა. ჭადრაკის ანბანის დაუფლებას 4 წლის ასაკში შევუდექი, ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს მწვრთნელთან ირაკლი გეთიასთან.

პირველად თავი სად გამოიჩინე... შემდეგ?

–პირველი ჩემი სერიოზული გასვლა იყო 6 წლის ასაკში 2011 წლის დეკემბრის თვეში თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ თ. ლომაიას სახელობის ყოველწლიურ საერთაშორისო ტურნირზე 8 წლიან გოგონათა შორის, რომელშიც გამარჯვება მოვიპოვე 7-დან 7-ვე პარტიის მოგებით. სწორედ ამ ტურნირზე გამიცნო მთელმა თბილისმა და მაია ჩიბურდანიძეს შემადარეს.

ვარ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე და მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მფლობელი. საქართველოს ორგზის ჩემპიონი 7 და 8 წლის გოგონათა შორის. სამეგრელო-ზემო სვანეთის ჩემპიონი 8 წლის გოგონათა შორის და 7 წლის ჭაბუკთა და გოგონათა შორის. 2012 წლის ევროპის თასის მფლობელი, 2012 წლის ნანა ალექსანდრიას თასების მფლობელი, როგორც 7, ასევე 8 წლის გოგონათა შორის. 2012 წლის მ. ინწკირველის მემორიალის 7 წლიან გოგონათა შორის გამარჯვებული, ამავე მემორიალში 9 წლიან გოგონათა შორის მეორე ადგილის მფლობელი.

ჭადრაკში მიღწეული წარმატებისათვის, მსოფლიო პირველობის საგზურის მოპოვებისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩემი პედაგოგი ირაკლი გეთია და მე საპატიო სიგელით დაგვაჯილდოვეს.

აქვე, მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბრის თვეში ჩემს მწვრთნელს ჭადრაკში მიღწეული წარმატებებისა და პედაგოგიური ღვაწლისთვის, ჭადრაკის ფედერაციამ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა, ხოლო მუნიციპალიტეტის წარდგინებით ღირსების ორდენით დაჯილდოვდა, რასაც დიდი სიხარულითა და სიყვარულით ვულოცავ ჩემს დაუზარელ და მშრომელ პედაგოგს ბატონ ირაკლი გეთიას.

ბოლო გამარჯვებაზე რას იტყვი, დაძაბული და საინტერესო თამაში იყო, ძალიან ღელავდი? ვინ გამხნევებდა?

–ბოლო ჩემი გამარჯვებით მოვიპოვე ივლისის თვეში ნანა ალექსანდრიას სახელობის საერთაშორისო ტურნირის ორი თასი, როგორც 7, ასევე 8 წლიანებში. მღელვარება ძალიან დიდია ტურნირის მსვლელობისას. ამ მომენტში სიხარულიც მაქვს და ცრემლიც. ამ ტურნირზე მამხნევებდნენ ჩემი ოჯახის წევრები და ახლობლები.

მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ვიმყოფებოდი ჩეხეთის რესპუბლიკაში, ქალაქ პრაღაში ევროპის ჩემპიონატზე ჭადრაკში ახალგაზრდებს შორის, სადაც 1200-მდე მონაწილე 6 ასაკობრივ ჯგუფში მონაწილეობდა. მე მონაწილეობა მივიღე 8 წლიან გოგონათა შორის. 56 მონაწილიდან მე-18 ადგილზე გავედი. მომავალ წელს იგივე ასაკში მივიღებ მონაწილეობას და საპრიზო ადგილსაც ვგეგმავ.

მართალია, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ რას ფიქრობ, სამომავლოდ ჭადრაკი იქნება შენი ინტერესის სფერო?

–ჯერჯერობით ჭადრაკი ჩემი ცხოვრების უდიდესი და მთავარი ნაწილია. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. წინასწარ ძნელია გათვალო რა როგორ იქნება.

თამაშები ბევრ დროს ხომ არ გართმევს, სწავლაში ხელს ხომ არ გიშლის?

–ჭადრაკს დიდი დრო და ენერგია სჭირდება, მაგრამ პარალელურად სკოლაში სწავლას უდიდეს ყურადღებას ვუთმობ. დრო ისე მაქვს განაწილებული, რომ სწავლაში ხელი არ მეშლება, ხოლო თამაშით გართობას მარტო შაბათ-კვირას ვახერხებ.

მომავალში ალბათ ჭადრაკისთვის მეტი დრო მექნება დასათმობი, მაგრამ იმედი მაქვს, ღვთისწყალობით ყველაფერს დავძლევ.

უახლოეს გეგმებზე რას გვეტყოდი?

–რაც შეეხება უახლოეს გეგმებს, ნოემბერის თვეში მონაწილეობას მივიღებ სლოვენიის რესპუბლიკაში, ქალაქ მარიბორში ჭადრაკში გასამართ მსოფლიო ჩემპიონატში 8 წლიან გოგონათა შორის. ამ შეჯიბრებაზე მაღალ შედეგებს ვერ ვგეგმავ, თუმცა სურვილი დიდია და არც ბრძოლას დავაკლებ, რადგანაც მსოფლიო მასშტაბით ერთი წლის უფროსებთან მომიწევს ბრძოლა. სამაგიეროდ, ეს ჩემპიონატი მომავალი წლისთვის დიდ გამოცდილებას შემმატებს.

P.S.საგაზეთო მასალა უკვე მზად იყო, როდესაც ჩვენთვის დიანას მორიგი წარმატებები გახდა ცნობილი.

სლოვენიის ქალაქ მარიბორში გამართულ 2012 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც 6 ასაკობრივ ჯგუფში–8, 10, 12, 14, 16, 18 წლიანებში ჩატარდა ცალცალკე გოგონებსა და ვაჟებში, 91 ქვეყნიდან 1600 მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას. 7 წლის დიანა 8 წლიანთა ჯგუფში ასპარეზობდა, რომელმაც 11 თამაშშდან 6 მოგებით, 2 ყაიმითა და 3 წაგებით 7 ქულა დააგროვა, რითაც 16-ე ადგილზე გავიდა.

ამის შემდეგ, ნოემბრის ბოლოს, ქუთაისში მაია ჩიბურდანიძის საჭადრაკო სკოლაში ჩატარდა 2012 წლის თასის გათამაშება, სადაც 8 წლამდე გოგონათა შორის 9 შესაძლებლობიდან 9 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა და უახლოეს მდევრებს 2 ქულით გაასწრო.

ამ ტურნირზე დიანა ლომაიას მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასი, მედალი, დიპლომი და ფულადი ჯილდო–250 ლარი გადაეცა.

დიანა მომავალ წელს კვლავ 8 წლიანებთან იასპარეზებს. ჭადრაკის ფედერაცია კი 2013 წლის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე პატარა მოჭადრაკის დიდ გამარჯვებებს გეგმავს, რასაც მომავალი 9-10 თვის განმავლობაში დიდი შრომა დასჭირდება.

ესაუბრა
ნანა კემულარია.

მოლოცვები

ნუცა ბუკიას!

ჩემო ცხოვრებამავ, სიცოცხლეო გოგო, ლამაზო, ჭკვიანო, გიკოცნი მაგ მაცვალოვით გემრიელ და ლამაზ თვალებს. „მუქთუნავ“, შემოგვეღლოს ჩემი თავი.

ნუციკო, მიყვარხარ და გეფერები მემიკო. გილოცავ დამადგმის დღეს! ულევ სიხარულს, ცვმილ და მედნიერ წლებს გისურვებ შენს დამმასთან–ცაცა და გოგისთან, დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად!

პაცარავ, ყველას გვიყვარხარ, გილოცავთ ამ ლამაზ დღეს!

ნანი გეგო.

ლუკა ახალაიას!

ჩემო პაცარავ, გილოცავ დამადგმის დღეს!

ლუკა, არ იცი როგორ მენატრები, ძალიან, ძალიან მიყვარხარ. შენი ნახვა სშირად გაუსაძლისად მომენატრება. ჩემო ჭკვიანო, ზაფხულის მოსვლას ვესწრაფვი. ვიცი რომ მოსკოვიდან ხომში შენს ოჯახში ჩამოხვალ და ყველას გაგვახარებ.

ნიჭიერო, ჯარგო და გამორჩეულო მიჭო, ოჯახის იმედო და დიდო სიყვარულო, მინდა, ყველაფერი საუკეთესო გისურვო!

გკოცნი ნანა კემულარია.

ანეკდოტები

***

მეგრელი მაღაზიაში მივა და იკითხავს ვინ არის პირველიო. მეო, იტყვის ერთი და გამოვა. ჰოდა, მე ნული ვარ ეტყვის მეგრელი და წინ დაუდგება.

***

სვანს მეცხრე ძალიშვილი შეეძინა და სახელად დაარქვა „კმარა.“

***

კახელი ეუბნება დედამისს: დედი, მამიკომ თავი ჩამოიხრჩო.
დედა: სად შვილო?
შვილი: კუხნაში.
დედა შევა, არ დახვდება და ეუბნება: შვილო, რატომ მომატყუეო?
შვილი: დღეს 1 აპრილია, ზალაში კიდიაო.

***

ბურულმა თქვა: ფოთში იმდენი თევზი ვჭამე, ბურიამდე ძამა, თოლიები მომსდევდნენო...

***

სვანი და კახელი სტუმრად მიდიან ძმაკაცთან.
ძმაკაცს ერთი ლოგინი აქვს.
სვანს დააწვენს ლოგინზე,
კახელს იატაკზე.
კახელი დამით გაბრაზდება, სვანს გადმოაწვენს იატაკზე და თვითონ დაწვება ლოგინზე.
შუა ღამეს, სვანი ღრიალებს: შუქი აანთეთ, ლოგინიდან ვერ გადმოვდივარო.

***

ბურულს ჟურნალისტები ეკითხებიან, შემოსავალი რა გაქვთ ოჯახშიო? ბურული გაკვირვებული პასუხობს: ჰიშკარი ძამა!!!

***

ჰიჰიკია, წყალი მოდის შენთან?
–რაის წყალი, ბიჰიკია, რიონი ისეა დამშრალი, ბაყაყები ერთმანეთს აფურთხებენ, რომ დასველდნენ.

***

სიდედრი ესტუმრა სიძეს. სიძე ეკითხება:
–რამდენი ხნით ჩამოხვედი?
–როგორც კი მოგბეზრდები წავალ.
–ჰო... საჭმელი მაინც გეჭამა.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.

თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.

რედაქტორი–მანანა შულაია.

ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.

კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 8 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.